



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა**
სსიპ- ქედის მუნიციპალიტეტის სოფ. გეგელიძეების საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თალიკო ჯაყელი

წევრები:

ტარიელ კალანდაძე-(ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

ირმა ავალიანი- (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)

შორენა გაგნიძე-(საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)

გვანცა მოლაშვილი-(უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);

ლეილა ხელისუფალი -(ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);

ოლიკო კილაძე -(ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)

სოფიო ხვადაგიანი - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);

ნანი სალია -(მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი)

მიხეილ გაფრინდაშვილი -(სპორტის საგნობრივი ექსპერტი)

ლელა მანგოშვილი -(ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)



ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ- ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გეგელიძეების საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	246756238

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქედის მუნიციპალიტეტი
ფაქტობრივი მისამართი	ქედის მუნიციპალიტეტის სოფელი გეგელიძეები
საფოსტო ინდექსი	6100
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi-admin.emis.ge/dashboard
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	gegelizzebips@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577304059

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 1 26 0000130536, 07.02.2026
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 04 და 05 მარტი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ქედის მუნიციპალიტეტის სოფელი გეგელიძეები (ერთი)
2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ქედის მუნიციპალიტეტის სოფელი გეგელიძეები (ერთი)
3.	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	ქედის მუნიციპალიტეტის სოფელი გეგელიძეები (ერთი)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ- ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გეგელიძეების საჯარო სკოლის შეფასების პროცესმა ჩაიარა საქმიან, კონსტრუქციულ და მშვიდ ვითარებაში. დაწესებულებაში ვიზიტამდე Teams -ის პლატფორმაზე ავტორიზაციის ჯგუფის წევრებისათვის შეიქმნა ონლაინ-სივრცე, სადაც ექსპერტებისთვის გაზიარებულ სკოლის თვითშეფასების განაცხადი და სკოლის მიერ წარმოდგენილი სხვა დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს სკოლამ შექმნა ყველა პირობა პროცესის სათანადოდ წარმართვისთვის,



გამოავლინა თანამშრომლობის მაღალი კულტურა, გამოყო სივრცე შეხვედრებისთვის, განრიგის შესაბამისად ორგანიზებულად შეგვახვედრა თანამშრომლებთან.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაესაუბრა, როგორც ადმინისტრაციულ პერსონალს, ასევე სკოლის მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს; საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამის მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. ონლაინ შეხვედრა დაიგეგმა პირველ სამუშაო დღეს. პირველ დღეს გაიმართა შეხვედრა ყველა საგნობრივ ჯგუფთან, განხილულ იქნა კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების და სხვა ზოგადი საკითხები, ასევე ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ მიეღოთ დეტალური პასუხები ცალკეულ ინდიკატორებთან მიმართებით.

სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედლების საჯარო სკოლაში დაგეგმილ წარმოებაში მონაწილეობა მიიღო დაწყებითი საფეხურის ექსპერტმა. ის გაეცნო სკოლის მიერ გადმოგზავნილ მასალებს. სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტის დროს, მონაწილეობა მიიღო ინტერვიუში, სკოლის დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან. ინტერვიუს დროს დააზუსტა საკითხები, რომლის შესახებაც სიღრმისეული ინფორმაცია სჭირდებოდა, პედაგოგებს მისცა რეკომენდაციები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).



სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფ. გეგელიძეების საჯარო სკოლის გამორჩეული პრაქტიკაა გუნდური მუშაობა და თანამშრომლობის მაღალი ხარისხი; აქცენტი კეთდება ნებისმიერი შესაძლებლობის მქონე მოსწავლისათვის ჯანსაღი, უსაფრთხო და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული სასწავლო გარემოს შექმნაზე შესაბამისი განთლების მისაღებად; სკოლა გამოირჩევა პროექტების, კონკურსების, ინტელექტუალური და სპორტული თამაშების დაგეგმვითა და განხორციელებით. ეს ყველაფერი სასკოლო ცხოვრებას უფრო მრავალფეროვანს, სახალისოს, საინტერესოსა და სასიამოვნოს ხდის. ასეთი გარემო ეხმარება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და რეალიზებაში. ამ აქტივობებით სკოლა გამორჩეულია მუნიციპალიტეტში, თუმცა მაღალმთიანი რეგიონებისათვის დამახასიათებელ ტენდენცია - მოსახლეობის მიგრაცია ამ სკოლასაც შეეხო და მოსწავლეთა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა; სკოლაში დასაქმებული თითოეული პირი, ვისთანაც უშულოდ ვიზიტის პერიოდში შედგა ურთიერთობა, კარგად იცნობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სპეციფიკას, სკოლის კულტურას და სასკოლო საზოგადოებასა თუ თემში არსებულ ინტერესებსა და გამოწვევებს.

სკოლაში შექმნილი სოციო-კულტურული სივრცე ხელს უწყობს, რომ ყველა წევრმა თავი იგრძნოს ამ სივრცის განუყოფელ ნაწილად; სკოლა გამოირჩევა სპორტული ტრადიციებით: ტარდება შეჯიბრებები ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, ჭადრაკში; მიღწეული წარმატებები დადასტურებულია მოპოვებული თასებითა და სიგელებით. სკოლაში იმართება პროექტები, კონკურსები, ღონისძიებები, რომლებშიც აქტიურადაა ჩართული ყველა საგნობრივი კათედრა; სკოლის წარმატებულ პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული პროექტები და კლუბური მუშაობები: ინგლისურ ენაში „როგორ ავირჩიოთ პროფესია“, ოთხდღიანი საზაფხულო ბანაკი მუნიციპალიტეტის სხვა სკოლის მოსწავლეებთან ერთად, ინტეგრირებული გაკვეთილი ინგლისურ ენასა და ბიოლოგიაში, პროექტი მათემატიკისა და ბიბლიოთეკის ინტეგრირებით, სკოლაში ფუნქციონირებს ინგლისური ენის კლუბი, ეკოკლუბი, ლიტერატურული კლუბი „სამყურა“. კლუბური მუშაობის ფარგლებში სკოლა დაფინანსდა 8 ათას ლარამდე გრანტით, რაც მოხმარდა პროექტით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებას; სკოლაში კლუბური მუშაობისათვის გამოყოფილია ცალკე ოთახი შესაბამისი აღჭურვილობით შეხვედრებისა და ღონისძიებების ჩასატარებლად;

სოფელ გეგელიძეებში ფუნქციონირებს გამოჩენილი ქართველი პოეტის ფრიდონ ხალვაშის სახლ-მუზეუმი და კინორეჟისორ ზაზა ხალვაშის სახელობის კინოდარბაზი; სკოლის ძლიერ მხარედ ითვლება მუზეუმთან ერთად განხორციელებული არაერთი ღონისძიება და პროექტი სასკოლო საზოგადოებისა და თემის წევრების ერთობლივი მონაწილეობით.



ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება



	<input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	<input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 160	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება <input checked="" type="checkbox"/>	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება <input type="checkbox"/>	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
--------------	------------------	---------



<i>სტანდარტი N3</i>	<i>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა</i>	<i>ხარვეზი</i>
<i>სტანდარტი N4</i>	<i>მოსწავლეთა მხარდაჭერა</i>	<i>ხარვეზი</i>
<i>ინდიკატორი N</i>		

<i>სტანდარტი N2</i>	<i>სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)</i>	<i>ხარვეზი</i>

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება



გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით აღნიშნულ ვადაში (19.03.2026—31.08.2026) სკოლამ უზრუნველყოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსის მობილიზება;
ინდიკატორი 3.5.1.3	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით აღნიშნულ ვადაში (12.12.2025—12.12.2027), ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად, სკოლამ უზრუნველყოს ადაპტირებული ლიფტის დამონტაჟება;
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია

¹ გარდ მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	
ინდიკატორი 2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით აღნიშნულ ვადაში (19.03.2026—31.08.2026) სკოლამ უზრუნველყოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსის მობილიზება;
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	
ინდიკატორი 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	შესაბამისობის გეგმის მიხედვით აღნიშნულ ვადაში- (19.03.2026- 31.12.2027) სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის კეთილმოწყობა კვლევითი და პრაქტიკული სამუშაოების განხორციელებისათვის სწავლების საბაზო საფეხურზე
ინდიკატორი 2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით აღნიშნულ ვადაში (19.03.2026—31.08.2026) სკოლამ უზრუნველყოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსის მობილიზება;
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	



<p>ინდიკატორი 2.2.2.3</p>	<p>კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით</p>	<p>შესაბამისობის გეგმის მიხედვით აღნიშნულ ვადაში - (19.03.2026- 31.12.2027) სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის კეთილმოწყობა კვლევითი და პრაქტიკული სამუშაოების განხორციელებისათვის სწავლების საშუალო საფეხურზე</p>
<p>ინდიკატორი 2.2.2.4</p>	<p>სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი</p>	<p>წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით აღნიშნულ ვადაში (19.03.2026—31.08.2026) სკოლამ უზრუნველყოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსის მობილიზება;</p>

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა



ინდიკატორი 4.2.2.1	კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;	სასურველია, სკოლამ პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის საკითხები სრულყოფილად ასახოს სასკოლო სასწავლო გეგმაში, სადამრიგებლო პროგრამებსა და საგნობრივ კურიკულუმებში; სასურველია, კარიერული წინსვლის ღონისძიებებს მისცენ სისტემატური, გეგმიური ხასიათი;
ინდიკატორი 4.2.2.3	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.	სასურველია, სკოლამ მომსახურების გაუმჯობესების პროცესში დეტალურად გაითვალისწინოს გაწეული მუშაობის შეფასების შედეგები

<i>სტანდარტი N2</i>	<i>სასკოლო კურიკულუმი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა</i>	<i>რჩევა</i>
ინდიკატორი 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია, ყველა საგნობრივ ჩარჩოში იყოს მითითებული სასწავლო წელი, საგნის მასწავლებელი, საათობრივი განაწილება თემების მიხედვით. მე-3 და მე-4 კლასის თემატურ ჩარჩოებში მითითებული საკითხები დააჯგუფეთ სავალდებულო თემებად, თემაში მოცემულ საკითხებს მიუჩინეთ ადგილი საკითხების გრაფაში, ასევე დააზუსტეთ კონტექსტ-მაგალითები და დაუკავშირეთ თემებს/მთავარ საკითხებს, დავალების იდეაში - მკაფიოდ გამოჩნდეს კონკრეტული პროდუქტი (მე-3, მე-4 კლასები), გაასწორეთ ტექნიკური შეცდომები: მე-4 კლასში კონტექსტ-მაგალითში მითითებული ვიდეორესურსთან ჩასვით შესაბამისი ბმული, ყველა



		<p>მითითებული ელექტრონული ბმული გადაამოწმეთ რამდენად აქტიურია (მაგ. მე-2 კლასი).</p> <p>სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოების ქვეშ მითითებული იყოს კომპლექსური/შემოქმედებითი დავალება დეტალური სახით, რომლის განხორციელებასაც გეგმავს მასწავლებელი, დავალების პირობას თან დაერთოს შეფასების კრიტერიუმები გრძელვადიან შედეგებთან მიმართებით.</p> <p>ესთეტიკური აღზრდა: სასურველია გააგრძელონ მუშაობა კურიკულუმზე და სამომავლოდ გაამდიდრონ ის სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებებით.ეს ხელს შეწყობს როგორც მოსწავლეების მოტივაციის გაზრდას, ისე მათი მიღწევების შეფასებას.</p> <p>სპორტი:</p> <p>1.სასურველია, დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესში ყველა კლასში გათვალისწინებული იყოს ტანვარჯიშის სწავლება.</p> <p>2.სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებს დაემატოს თემა „ოლიმპიზმი“, სადაც მუშავდება ერთი სამიზნე ცნება (ჯანსაღი ცხოვრების წესი) და შეძლებისდაგვარად, სრულად შეისწავლონ ოლიმპიზმის განვითარების ისტორია (ანტიკური და თანამედროვე ოლიმპიადები; საქართველო ოლიმპიადებზე; ქართველი ოლიმპიელები; ზამთრის ოლიმპიადა; პარა ოლიმპიადა; ოლიმპიური სიმბოლოები და ა.შ).</p> <p>ტექნოლოგიები: სასურველია ყველა კლასში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს</p>
<p>ინდიკატორი 2.1.2.2.</p>	<p>კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს</p>	<p>სახელმწიფო ენა: სასურველია, კათედრამ კურიკულუმისთვის შეიმუშაოს ერთიანი ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თითოეული სვეტის დანიშნულება, სწორად აისახოს ესგ-ს შესაბამისად</p>



		<p>გაწერილი სავალდებულო თემები, სტანდარტის შედეგები და დავალების იდეა.</p> <p>სპორტი: დაწყებით საფეხურის კურიკულუმებში, სასურველია თემების შესწავლისთვის განსაზღვრული სავარაუდო საათობრივი ჯამი თანხვედრაში მოვიდეს აღნიშნული საფეხურის წლიურ საათობრივ ბადასთან.</p> <p>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური: სასურველია, კათედრამ კურიკულუმისთვის შეიმუშაოს ერთიანი ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თითოეული სვეტის დანიშნულება;</p>
<p>ინდიკატორი 2.1.2.3.</p>	<p>კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას</p>	<p>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ხშირ შემთხვევაში კურიკულუმში ასახული რესურსები მოიცავს რეკომენდირებულ საყოველთაო სახის რესურსებს, არ ჩანს კონკრეტული სკოლის, კათედრის, მასწავლებლის მიერ ორგანიზებული რესურსები, სასურველია, რესურსები გამრავალფეროვნდეს, განსაკუთრებით დაწყებითი საფეხურისათვის. ამისათვის, შესაძლოა, გამოყენებული იქნას მასწავლებლის ან მოსწავლეების მიერ შექმნილი სასწავლო რესურსები შესაბამისი ვალიდაციის შემდეგ.</p> <p>სახელმწიფო ენა: სასურველია სამომავლოდ კურიკულუმის უფრო მეტად გამრავალფეროვნება საგანმანათლებლო რესურსებით, (საგანმანათლებლო რესურსების ბმულები, მასწავლებლების ან მოსწავლეების მომზადებული მოდიფიცირებული რესურსები და სხვ.), ამასთანავე სასურველია, უკვე არსებული რესურსები კურიკულუმებში აისახოს ბმულების სახით.</p> <p>სპორტი: სასურველია, სკოლის სპორტულ ინვენტარს შემდგომში დაემატოს ტანვარჯიშის ლეიბი, ამ თემის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში ასახვისა და სათანადოდ განხორციელების მიზნით.</p>



		<p>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური: სასურველია, სამომავლოდ, უფრო მეტი მატერიალური და ელექტრონული რესურსით გამდიდრდეს კურიკულუმები.</p>
<p>2.1.2.4.</p>	<p>სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს</p>	<p>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია დიფერენცირებისათვის, მოსწავლეებს შემაჯამებელ სამუშაოზეც შესთავაზოთ დავალების განსხვავებული ვარიანტები. სასურველია, მე-6 კლასის მოსწავლეებს შემაჯამებელ დავალებაზე უფრო რთული კითხვებიც შევთავაზოთ, მოვხსნათ არჩევითბოლოიანი ტესტური დავალებები და გავზარდოთ შემოქმედებითი დავალებები.</p> <p>სასურველია საგნობრივ კურიკულუმში გამოკვეთოთ მასწავლებლის მიერ შერჩეული, მოდიფიცირებული ან ხელახლა შექმნილი ძირითადი და ალტერნატიული აქტივობები, რაც საგნობრივ კურიკულუმს გახდის უფრო ღირებულს, მოქნილსა და მრავალფეროვანს.</p>
<p>2.1.2.5</p>	<p>მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის განსაზღვრულ პრინციპებს</p>	<p>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: წარმოდგენილი შეფასების სქემები ზოგადი ხასიათისაა, ასახავს მეთოდურ ორიენტირებს, მოსწავლის ჰოლისტურ შეფასებას, მათ შორის ფუნციურ-კომპონენტური უნარების წილს. სასურველია, მეტი კონკრეტულობა, მაგ; თემის/საკითხის ფარგალში დააზუსტეთ გრძელვადიანი მიზნები(საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები) , უფრო მეტად გამოკვეთეთ სამიზნე ცნებების მიღწევის დონეები მოცემული საკითხის მიხედვით, ასევე, სასურველია, კათედრაზე შეჯერდეთ მიღწევის დონეების მსგავს ადწერილობაზე.</p> <p>ესთეტიკური აღზრდა: სასურველია სკოლამ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ხელოვნებასა და მუსიკაში დაწყებით საფეხურზე გაწერონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, თემებთან და ცნებებთან მიმართებით.</p>



		<p>სახელმწიფო ენა: სასურველია შემუშავდეს კურიკულუმში გაწერილ დავალებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.</p> <p>სპორტი: სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს კურიკულუმში გაწერილ დავალებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.</p> <p>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური: სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს კურიკულუმში გაწერილ დავალებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.</p>
2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	<p>სახელმწიფო ენა: სასურველია, კურიკულუმში გაიწეროს იმდენი დავალება, რამდენსაც რეალურად განახორციელებენ.</p> <p>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური: სასურველია, კურიკულუმში გაიწეროს იმდენი დავალება, რამდენსაც რეალურად განახორციელებენ.</p>
2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	<p>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია გაასწოროთ ტექნიკური შეცდომა მეორე კლასის განმავითარებელი შეფასების სქემაში საგნის სახელწოდება - გარემოსმცოდნეობა. ასახეთ კრიტერიუმში მოცემული თემის/საკითხის სამიზნე ცნება და არა საგნობრივი ცნება, შეფასების ყველა შერჩეული კრიტერიუმი მიუსადაგეთ თემას/საკითხს კონკრეტულად. მაგ: შეფასების სქემაში თემაზე მორგებული მაგალითი (პუნქტი 3.) დეტალურად გაწერეთ კრიტერიუმების და მიღწევის დონეების მიხედვით.</p> <p>საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასების რუბრიკები იყოს მეტად კონკრეტული და ეროვნულ-სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს მორგებული.</p>



		<p>ესთეტიკური აღზრდა: სასურველია სკოლამ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ხელოვნებასა და მუსიკაში გაწეროს ესგ საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, სადაც მკაფიო იქნება თემებში ამა თუ იმ ცნების მნიშვნელობა</p> <p>სახელმწიფო ენა: სასურველია, ყველა საგანში აწარმოონ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული რუბრიკები, და სადიაგნოსტიკო შეფასება, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.</p> <p>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური: სასურველია, ყველა საგანში აწარმოონ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული რუბრიკები, და სადიაგნოსტიკო შეფასება, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.</p>
<p>ინდიკატორი 2.2.2.1.</p>	<p>კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში</p>	<p>საბუნებისმეტყველომეცნიერებები: სასურველია, საბუნებისმეტყველო კათედრაზე შეიქმნას: ა) მატერიალური რესურსების ჩამონათვალი (სკოლის მდიდარი წიგნადი ფონდიდან), ასევე პოსტერების, მოდელების ჩამონათვალი, რაც გაადვილებს საგნის სწავლებას;</p> <p>ბ) ციფრული რესურსების ბანკი, რომელიც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, ძირითად რესურსებთან ერთად ან ნაცვლად, ალტერნატიული აქტივობები შეასრულონ.</p> <p>ესთეტიკური აღზრდა: სასურველია კურიკულუმებში მუსიკასა და ხელოვნებაში დაკონკრეტდეს რა დამატებით რესურსებს იყენებენ სასწავლო პროცესში.</p> <p>სახელმწიფო ენა: სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემების დამუშავების დროს მასწავლებლებმა გამოიყენონ</p>



		<p>მრავალფეროვანი, დამხმარე, მატერიალური და ელექტრონული რესურსები.</p> <p>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური: სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემების დამუშავების დროს მასწავლებლებმა გამოიყენონ მრავალფეროვანი, დამხმარე, მატერიალური და ელექტრონული რესურსები.</p>
ინდიკატორი 2.2.2.3.		<p>სპორტი: სასურველია სკოლამ მოკლევადიან პერიოდში იზრუნოს როგორც დამატებითი სპორტული ინვენტარის შეძენის, ასევე სპორტული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების გაუმჯობესებაზე.</p>
ინდიკატორი 2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსი	სასურველია სკოლამ გამოაცხადოს ვაკანსია და შესაბამისი პროცედურები დაცვით მოახდინოს კვალიფიციური კადრის შერჩევა.

<i>სტანდარტი N2</i>	სასკოლო კურიკულუმი <i>ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა</i>	<i>რჩევა</i>
ინდიკატორი 2.1.2.1.	შმუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესს და გეგმვისა და განვითარების გზას	<p>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოების ქვეშ მითითებული იყოს კომპლექსური/შემოქმედებითი დავალება დეტალური სახით, რომლის განხორციელებასაც გეგმავს მასწავლებელი, დავალების პირობას თან დაერთოს შეფასების კრიტერიუმები გრძელვადიან შედეგებთან მიმართებით.</p>



		<p>უცხო ენა: სასურველია, სავალდებულო თემებთან გაიწეროს საათების რაოდენობა; საგნობრივი კურიკულუმების შედგენის დროს, ყველა თემაში სრულად დაიფაროს სამიზნე ცნებები. კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი თემების ფარგლებში დასამუშავებელი ტექსტები, შემოქმედებითი დავალებები, ძირითადი და დამატებითი რესურსები - მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებითაა შერჩეული.</p> <p>ესთეტიკა: სასურველია გააგრძელონ მუშაობა კურიკულუმზე და სამომავლოდ გაამდიდრონ ის სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებებით.ეს ხელს შეუწყობს როგორც მოსწავლეების მოტივაციის გაზრდას, ისე მათი მიღწევების შეფასებას.</p> <p>სახლმწიფო ენა: სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი შემოქმედებითი ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. კურიკულუმების შემდგომი განვითარების მიზნით აუცილებელია გასწორდეს ტექნიკური შეცდომები, მეტი ყურადღება მიექცეს ინფორმაციების სათანადო გრაფებში განთავსებას, ზოგიერთ შემთხვევაში შინაარსობრივად დაიხვეწოს დავალების იდეა. ყურადღება მიექცეს საგნობრივი კურიკულუმების როგორც შინაარსობრივ, ასევე ტექნიკურ და ვიზუალურ მხარეს, შემუშავდეს კურიკულუმის ერთიანი ჩარჩო.</p> <p>სპორტი:</p> <p>1.სასურველია, საბაზო საფეხურის სასწავლო პროცესში ყველა კლასში გათვალისწინებული იყოს ტანვარჯიშის სწავლება.</p> <p>2.სასურველია, საბაზო საფეხურის კურიკულუმებს დაემატოს თემა „ოლიმპიზმი“, სადაც მუშავდება ერთი სამიზნე ცნება (ჯანსაღი</p>
--	--	---



		<p>ცხოვრების წესი) და შემღებობისდაგვარად, სრულად შეისწავლონ ოლიმპიზმის განვითარების ისტორია (ანტიკური და თანამედროვე ოლიმპიადები; საქართველო ოლიმპიადებზე; ქართველი ოლიმპიელები; ზამთრის ოლიმპიადა; პარა ოლიმპიადა; ოლიმპიური სიმბოლოები და ა.შ).</p>
<p>2.1.2.2.</p>	<p>კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს</p>	<p>სახელმწიფო ენა: სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოში სავალდებულო თემები გაიწეროს სტანდარტის მიხედვით. პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით დახვეწონ კურიკულუმები, თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. სპორტი: სასურველია საბაზო საფეხურის კურიკულუმებში, თემების შესწავლისთვის განსაზღვრული სავარაუდო საათობრივი ჯამი თანხვედრაში მოვიდეს აღნიშნული საფეხურის წლიურ საათობრივ ბადესთან.</p>
<p>ინდიკატორი 2.1.2.3.</p>	<p>კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას</p>	<p>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია ლაბორატორიით აღჭურვამდე, მარტივი ექსპერიმენტებისათვის საჭირო ყველა რესურსი (პლასტიკატის ჭურჭელი, წყალი, საკვები რეაგენტები და სხვა) აისახოს კურიკულუმში ან მატრიცებში. მოსწავლის მიერ შექმნილი პოსტერები (წარმოდგენილი სკოლის მიერ), არაფორმალური განათლების პროექტის ფარგლებში შექმნილი პრეზენტაციები (2025 წელი “ცილები ჩვენს გარშემო”, გრძნობათა ორგანოები, დედამიწის კვირეული, ეკოკლუბი - მოსწავლეები ეკოსამყაროსათვის “შტუდენტს ფორ ცო-ჭორლდ” შექმნილი გარემოსდაცვითი მასალები, რაც წარმოდგენილია სკოლის სოციალურ გვერდზე და არსებობს სასკოლო სივრცეში</p>



		<p>ინტეგრირებული პროექტის სახით, შეიძლება აქციოთ სასწავლო რესურსებად და ასახოთ კურიკულუმში. ასევე, სასურველია, მე-9, მე-11 და მე-12 კლასის ბიოლოგიის კურსს დაუკავშიროთ გასვლითი გაკვეთილები ადგილობრივი ბიომრავალფეროვნების შესწავლის მიზნით ან შექმნათ სკოლის ორიგინალური რესურსები ბუნებისმეტყველების მიმართულებით.</p> <p>სახელმწიფო ენა: სასურველია სამომავლოდ კურიკულუმის უფრო მეტად გამრავალფეროვნება საგანმანათლებლო რესურსებით, (საგანმანათლებლო რესურსების ბმულები, მასწავლებლების ან მოსწავლეების მომზადებული მოდიფიცირებული რესურსები და სხვ.), ამასთანავე სასურველია, უკვე არსებული რესურსები კურიკულუმებში აისახოს ბმულების სახით.</p> <p>სპორტი: სასურველია, სკოლის სპორტულ ინვენტარს შემდგომში დაემატოს ტანვარჯიშის ლეიბი, ამ თემის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში ასახვისა და სათანადოდ განხორციელების მიზნით.</p>
<p>ინდიკატორი 2.1.2.4.</p>	<p>სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს</p>	<p>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია საგნობრივ კურიკულუმში გამოკვეთოთ მასწავლებლის მიერ შერჩეული, მოდიფიცირებული ან ხელახლა შექმნილი ძირითადი და ალტერნატიული აქტივობები, რაც საგნობრივ კურიკულუმს გახდის უფრო ღირებულს, მოქნილსა და მრავალფეროვანს.</p> <p>სახელმწიფო ენა: კურიკულუმი ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული მიდგომების ელემენტებს შეიცავს, თუმცა ეფექტურობის გაზრდისთვის სასურველია კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს ინდივიდუალური მიდგომის სტრატეგიები,</p>
<p>ინდიკატორი 2.1.2.5.</p>		<p>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან შედეგებს, საფეხურის შედეგებს ან სამიზნე ცნებებს, რათა გაიზომოს ესგ მიღწევის შედეგები. არსეული შეფასების სქემებში აისახოს კონკრეტული თემა და</p>



		<p>გრძელვადიანი მიზანი. შემაჯამებელ საუშაოებში სჯობს, საერთოდ ამოვიღოთ არჩევითბოლოიანი დავალებები, მეტი წილი მიენიჭოს ღია კითხვებს მაღალი სააზროვნო უნარების შემოწმების მიზნით.</p> <p>ესთეტიკური აღზრდა: სასურველია სკოლამ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ხელოვნებასა და მუსიკაში დაწყებით საფეხურზე გაწერონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, თემებთან და ცნებებთან მიმართებით</p> <p>სახელმწიფო ენა: სასურველია, შეიქმნას რუბრიკები ან შეფასების კრიტერიუმები თითოეული კომპლექსური დავალებისთვის, რომლებშიც ნათლად იქნება გაწერილი, რა დონეზეა მიღწეული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. ეს დაეხმარება მოსწავლეებს, გააცნობიერონ, კონკრეტულად რა კომპონენტებში სჭირდებათ გაუმჯობესება. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება უნდა ეყრდნობოდეს სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევის ინდიკატორებს და მიემართებოდეს როგორც შუალედურ, ასევე გრძელვადიან მიზნებს. სასურველია, სკოლამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შედგენისას იხელმძღვანელოს სამივე საფეხურის სტანდარტში მითითებული ინდიკატორებით, შეარჩიოს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებისთვის ყველაზე ადეკვატური ერთი ან რამდენიმე ინდიკატორი და დააკონკრეტოს დავალების პირობის გათვალისწინებით.</p>
<p>ინდიკატორი 2.2.2.1</p>	<p>კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში</p>	<p>სახელმწიფო ენა: კურიკულუმებში წარმოდგენილია დავალების იდეები, თუმცა არ არის დეტალურად აღწერილი შეფასების კრიტერიუმები ან მეთოდები. სასურველია შეფასების რუბრიკების ან კონკრეტული შეფასების ინსტრუმენტების დამატება გააუმჯობესებს სასწავლო პროცესის ეფექტურობასა და ობიექტურობას.</p>



<p>ინდიკატორი 2.2.1.3.</p>	<p>შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი</p>	<p>სახელმწიფო ენა: სასურველია, შემუშავდეს ყველა შემოქმედებითი დავალების შესაფასებელი განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები და კრიტერიუმები, რომლებიც დაეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასება უნდა ეყრდნობოდეს სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევის ინდიკატორებს და მიემართებოდეს როგორც შუალედურ, ასევე გრძელვადიან მიზნებს. შეფასების სანდოობისთვის კარგი იქნება მეტად გამოიყენონ კონკრეტულ საკითხზე, შემაჯამებელ დავალებაზე თუ შემოქმედებით პროდუქტზე მორგებული შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებული იქნება შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტი.</p>
<p>ინდიკატორი 2.2.1.4.</p>	<p>სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი</p>	<p>სასურველია სკოლამ ბრძანებით შექმნას ვერიფიკაციის განმახორციელებელი ჯგუფი, რომელიც საქმიანობას წარმართავს მექანიზმის შესაბამისად.</p>
<p>ინდიკატორი 2.2.2.1.</p>	<p>კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში</p>	<p>საბუნებისმეტყველო: სასურველია, საბუნებისმეტყველო კათედრაზე შეიქმნას: ა) მატერიალური რესურსების ჩამონათვალი (სკოლის მდიდარი წიგნადი ფონდიდან), ასევე პოსტერების, მოდელების ჩამონათვალი, რაც გაადვილებს საგნის სწავლებას;</p> <p>ბ) ციფრული რესურსების ბანკი, რომელიც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, ძირითად რესურსებთან ერთად ან ნაცვლად, ალტერნატიული აქტივობები შეასრულონ.</p> <p>ესთეტიკა: სასურველია კურიკულუმებში მუსიკასა და ხელოვნებაში დაკონკრეტდეს რა დამატებით რესურსებს იყენებენ სასწავლო პროცესში.</p> <p>სახელმწიფო ენა: მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული რესურსები კარგი დამხმარე საშუალებაა, სასურველია, დაემატოს სხვა ტიპის</p>



		რესურსებიც, რათა დაკმაყოფილდეს მოსწავლეთა განსხვავებული სწავლის სტილები და ინტერესები. მაგალითად: ინტერაქტიული სავარჯიშოები: ენობრივი და ლიტერატურული მასალის გასამყარებლად. პოდკასტები/აუდიოწიგნები: განსაკუთრებით ლიტერატურული ნაწარმოებების ან მათი ანალიზებისთვის. ონლაინმუზეუმები და ვირტუალური ტურები: თუ შესაძლებელია ნაწარმოებებთან ან ავტორებთან დაკავშირებული ადგილების ვირტუალური მონახულება (მაგალითად, მწერლის სახლ-მუზეუმები). სამეცნიერო-პოპულარული სტატიები და ესეები: ლიტერატურულ კონტექსტზე და კონკრეტულ თემებზე ცოდნის გასაღრმავებლად.
ინდიკატორი 2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	სახელმწიფო ენა: სასურველია, კათედრამ დანერგოს პრაქტიკა, რომლითაც მასწავლებლებს და საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებსაც შეეძლებათ უკუკავშირის მიცემა გამოყენებული რესურსების შესახებ, რათა მათი ეფექტურობა მუდმივად გაუმჯობესდეს. ამგვარი პრაქტიკის დანერგვა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დამხმარე რესურსების ხარისხს და უზრუნველყოფს, რომ ისინი მართლაც ეფექტურად ემსახურონ სასწავლო მიზნებს.
ინდიკატორი 2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სპორტი: სასურველია სკოლამ მოკლევადიან პერიოდში იზრუნოს როგორც დამატებითი სპორტული ინვენტარის შეძენის, ასევე სპორტული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების გაუმჯობესებაზე.
ინდიკატორი 2.2.2.5.1	კოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი,	სასურველია სკოლამ გამოაცხადოს ვაკანსია და შესაბამისი პროცედურების დაცვით მოახდინოს კვალიფიციური კადრის შერჩევა.



	კურიკულუმის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსი	
--	---	--

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	<p>საბუნებისმეტყველო: სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოების ქვეშ მითითებული იყოს კომპლექსური/შემოქმედებითი დავალება დეტალური სახით, რომლის განხორციელებასაც გეგმავს მასწავლებელი, დავალების პირობას თან დაერთოს შეფასების კრიტერიუმები გრძელვადიან შედეგებთან მიმართებით.</p> <p>უცხო ენა: სასურველია, სავალდებულო თემებთან გაიწეროს საათების რაოდენობა; საგნობრივი კურიკულუმების შედგენის დროს, ყველა თემაში სრულად დაიფაროს სამიზნე ცნებები. კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი თემების ფარგლებში დასამუშავებელი ტექსტები, შემოქმედებითი დავალებები, ძირითადი და დამატებითი რესურსები - მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებითაა შერჩეული.</p> <p>ესთეტიკა: სასურველია გააგრძელონ მუშაობა კურიკულუმზე და სამომავლოდ გაამდიდრონ ის სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებებით.ეს ხელს შეუწყობს როგორც მოსწავლეების მოტივაციის გაზრდას, ისე მათი მიღწევების შეფასებას.</p> <p>სახელმწიფო ენა: სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი შემოქმედებითი ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით.</p>



		<p>კურიკულუმების შემდგომი განვითარების მიზნით აუცილებელია გასწორდეს ტექნიკური შეცდომები, მეტი ყურადღება მიექცეს ინფორმაციების სათანადო გრაფებში განთავსებას, ზოგიერთ შემთხვევაში შინაარსობრივად დაიხვეწოს დავალების იდეა. ყურადღება მიექცეს საგნობრივი კურიკულუმების როგორც შინაარსობრივ, ასევე ტექნიკურ და ვიზუალურ მხარეს, შემუშავდეს კურიკულუმის ერთიანი ჩარჩო.</p> <p>სპორტი:</p> <p>სასურველია, საშუალო საფეხურის კურიკულუმებს დაემატოს თემა „ოლიმპიზმი“, სადაც მუშავდება ერთი სამიზნე ცნება (ჯანსაღი ცხოვრების წესი) და შეძლებისდაგვარად, სრულად შეისწავლონ ოლიმპიზმის განვითარების ისტორია (ანტიკური და თანამედროვე ოლიმპიადები; საქართველო ოლიმპიადებზე; ქართველი ოლიმპიელები; ზამთრის ოლიმპიადა; პარა ოლიმპიადა; ოლიმპიური სიმბოლოები და ა.შ).</p>
<p>ინდიკატორი 2.1.2.2.</p>	<p>კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს</p>	<p>სახელმწიფო ენა: სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოში სავალდებულო თემები გაიწეროს სტანდარტის მიხედვით. პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით დახვეწონ კურიკულუმები, თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.</p> <p>სპორტი: დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში, სასურველია თემების შესწავლისთვის განსაზღვრული სავარაუდო საათობრივი ჯამი თანხვედრაში მოვიდეს აღნიშნული საფეხურის წლიურ საათობრივ ბადადესთან.</p>
<p>ინდიკატორი 2.1.2.3.</p>	<p>კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი,</p>	<p>საბუნებისმეტყველო: სასურველია ლაბორატორიით აღჭურვამდე, მარტივი ექსპერიმენტებისათვის საჭირო ყველა რესურსი (პლასტიკატის</p>



	<p>უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას</p>	<p>ჭურჭელი, წყალი, საკვები რეაგენტები და სხვა) აისახოს კურიკულუმში ან მატრიცებში. მოსწავლის მიერ შექმნილი პოსტერები (წარმოდგენილი სკოლის მიერ), არაფორმალური განათლების პროექტის ფარგლებში შექმნილი პრეზენტაციები (2025 წელი “ცილები ჩვენს გარშემო”, გრძნობათა ორგანოები, დედამიწის კვირეული, ეკოკლუბი - მოსწავლეები ეკოსამყაროსათვის “შტუდენტს ფორ ცო-ჭორლდ” შექმნილი გარემოსდაცვითი მასალები, რაც წარმოდგენილია სკოლის სოციალურ გვერდზე და არსებობს სასკოლო სივრცეში ინტეგრირებული პროექტის სახით, შეიძლება აქციოს სასწავლო რესურსებად და ასახოს კურიკულუმში. ასევე, სასურველია, მე-9, მე-11 და მე-12 კლასის ბიოლოგიის კურსს დაუკავშიროთ გასვლითი გაკვეთილები ადგილობრივი ბიომრავალფეროვნების შესწავლის მიზნით ან შექმნათ სკოლის ორიგინალური რესურსები ბუნებისმეტყველების მიმართულებით.</p> <p>სახელმწიფო ენა: სასურველია სამომავლოდ კურიკულუმის უფრო მეტად გამრავალფეროვნება საგანმანათლებლო რესურსებით, (საგანმანათლებლო რესურსების ბმულები, მასწავლებლების ან მოსწავლეების მომზადებული მოდიფიცირებული რესურსები და სხვ.), ამასთანავე სასურველია, უკვე არსებული რესურსები კურიკულუმებში აისახოს ბმულების სახით.</p> <p>სპორტი: სასურველია, სკოლის სპორტულ ინვენტარს შემდგომში დაემატოს ტანვარჯიშის ლეიბი, ამ თემის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში ასახვისა და სათანადოდ განხორციელების მიზნით.</p>
<p>ინდიკატორი 2.1.2.4.</p>	<p>სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს</p>	<p>საბუნებისმეტყველო: სასურველია საგნობრივ კურიკულუმში გამოკვეთოთ მასწავლებლის მიერ შერჩეული, მოდიფიცირებული ან ხელახლა შექმნილი ძირითადი და ალტერნატიული აქტივობები, რაც საგნობრივ კურიკულუმს გახდის უფრო ღირებულს, მოქნილსა და მრავალფეროვანს.</p> <p>სახელმწიფო ენა: კურიკულუმი ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული მიდგომების ელემენტებს შეიცავს, თუმცა</p>



		<p>სასურველია ეფექტურობის გაზრდისთვის სასურველია კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს ინდივიდუალური მიდგომის სტრატეგიები, მაგალითად, როგორ ადაპტირდება დავალება განსხვავებული აკადემიური დონის მქონე მოსწავლეებისთვის.</p>
<p>ინდიკატორი 2.1.2.5.</p>	<p>მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს</p>	<p>საბუნებისმეტყველო: სასურველია შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან შედეგებს, საფეხურის შედეგებს ან სამიზნე ცნებებს, რათა გაიზომოს ეს მიღწევის შედეგები. არსებული შეფასების სქემებში აისახოს კონკრეტული თემა და გრძელვადიანი მიზანი. შემაჯამებელ საუბაოებში სჯობს, საერთოდ ამოვიღოთ არჩევითბოლოიანი დავალებები, მეტი წილი მიენიჭოს ღია კითხვებს მაღალი სააზროვნო უნარების შემოწმების მიზნით.</p> <p>ესთეტიკური აღზრდა: სასურველია სკოლამ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ხელოვნებასა და მუსიკაში დაწყებით საფეხურზე გაწერონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, თემებთან და ცნებებთან მიმართებით</p> <p>სახელმწიფო ენა: სასურველია, შეიქმნას რუბრიკები ან შეფასების კრიტერიუმები თითოეული კომპლექსური დავალებისთვის, რომლებშიც ნათლად იქნება გაწერილი, რა დონეზეა მიღწეული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. ეს დაეხმარება მოსწავლეებს, გააცნობიერონ, კონკრეტულად რა კომპონენტებში სჭირდებათ გაუმჯობესება. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება უნდა ეყრდნობოდეს სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევის ინდიკატორებს და მიემართებოდეს როგორც შუალედურ, ასევე გრძელვადიან მიზნებს. სასურველია, სკოლამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შედგენისას იხელმძღვანელოს სამივე საფეხურის სტანდარტში მითითებული ინდიკატორებით, შეარჩიოს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებისთვის ყველაზე ადეკვატური ერთი ან რამდენიმე ინდიკატორი და დააკონკრეტოს დავალების პირობის გათვალისწინებით.</p>



ინდიკატორი 2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	<p>სახელმწიფო ენა: სასურველია კურიკულუმებში წარმოდგენილია დავალების იდეები, თუმცა არ არის დეტალურად აღწერილი შეფასების კრიტერიუმები ან მეთოდები. შეფასების რუბრიკების ან კონკრეტული შეფასების ინსტრუმენტების დამატება გააუმჯობესებს სასწავლო პროცესის ეფექტურობასა და ობიექტურობას.</p>
2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	<p>სასურველია წარმოდგენილ ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმაში მე-10 კლასში ბიოლოგია/ფიზიკა თემა - წნევა (ფიზიკა) და ფესვის წნევა(ბიოლოგია), გააზრებულია წნევის გააზრება ბიოლოგიურ სისტემებში და ფიზიკური კანონების პრაქტიკულ გამოყენებაში, თუმცა, სასურველია,სავალდებულო სასწავლო თემები მეათე კლასში ამ საგნებში უკავშირდებოდეს წარმოდგენილ საკითხს. მაგ; ცნება წნევის ფიზიკაში მე-7 კლასიდან იცნობენ, მეათე კლასში კი სავალდებულო თემები ფიზიკაში ელექტროსტატიკა და დენის კანონებია, ასეთ შემთხვევაში სჯობს, მეტად დამუშავდეს საკითხის საგნობრივი ინტეგრირება. გეგმაში უნდა აისახოს საგნების გრძელვადიანი შედეგები, რაც შემდგომში შეფასების კრიტერიუმებსაც განსაზღვრავს.</p> <p>სასურველია, გაკვეთილის შემდგომ მასწავლებლების რეფლექსიაში გამოიკვეთოს ხედვა: რა მისცა მოსწავლეს ასეთმა გაკვეთილმა საგნობრივად, რათა მომავალში უკეთ გადაიგეგმოს და გასცეთ კონკრეტული განმავითარებელი შეფასებები.მოსწავლის რეფლექსიის შედეგები შეიძლება შეადაროთ მასწავლებლების რეფლექსიას. შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზის დროს (ფიზიკა, მე-10 კლასი) სასურველია, გამოიკვეთოს, რა სამუშაოები შესრულდა სრულყოფილად, რა იყო ტიპური შეცდომა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p> <p>სახელმწიფო ენა: სასურველია, შემუშავდეს ყველა შემოქმედებითი დავალების შესაფასებელი განმავითარებელი და განმსაზღვრელი</p>



		<p>რუბრიკები და კრიტერიუმები, რომლებიც დაეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასება უნდა ეყრდნობოდეს სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევის ინდიკატორებს და მიემართებოდეს როგორც შუალედურ, ასევე გრძელვადიან მიზნებს. შეფასების სანდოობისთვის კარგი იქნება მეტად გამოიყენონ კონკრეტულ საკითხზე, შემაჯამებელ დავალებაზე თუ შემოქმედებით პროდუქტზე მორგებული შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებული იქნება შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტი.</p>
<p>ინდიკატორი 2.2.1.4</p>	<p>სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი</p>	<p>სასურველია სკოლამ ბრძანებით შექმნას ვერიფიკაციის განმახორციელებელი ჯგუფი, რომელიც საქმიანობას წარმართავს მექანიზმის შესაბამისად.</p>
<p>ინდიკატორი 2.2.2.1.</p>	<p>კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში</p>	<p>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია, საბუნებისმეტყველო კათედრაზე შეიქმნას: ა) მატერიალური რესურსების ჩამონათვალი (სკოლის მდიდარი წიგნადი ფონდიდან), ასევე პოსტერების, მოდელების ჩამონათვალი, რაც გაადვილებს საგნის სწავლებას;</p> <p>ბ) ციფრული რესურსების ბანკი, რომელიც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, ძირითად რესურსებთან ერთად ან ნაცვლად, ალტერნატიული აქტივობები შეასრულონ.</p> <p>ესთეტიკური აღზრდა: სასურველია კურიკულუმებში მუსიკასა და ხელოვნებაში დაკონკრეტდეს რა დამატებით რესურსებს იყენებენ სასწავლო პროცესში.</p> <p>სახელმწიფო ენა: მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული რესურსები კარგი დამხმარე საშუალებაა, სასურველია, დაემატოს სხვა ტიპის რესურსებიც, რათა დაკმაყოფილდეს მოსწავლეთა განსხვავებული სწავლის სტილები და ინტერესები. მაგალითად: ინტერაქტიული სავარჯიშოები: ენობრივი და ლიტერატურული მასალის გასამყარებლად.</p>



		პოდკასტები/აუდიოწიგნები: განსაკუთრებით ლიტერატურული ნაწარმოებების ან მათი ანალიზებისთვის. ონლაინმუზეუმები და ვირტუალური ტურები: თუ შესაძლებელია ნაწარმოებებთან ან ავტორებთან დაკავშირებული ადგილების ვირტუალური მონახულება (მაგალითად, მწერლის სახლ-მუზეუმები). სამეცნიერო-პოპულარული სტატიები და ესეები: ლიტერატურულ კონტექსტზე და კონკრეტულ თემებზე ცოდნის გასაღრმავებლად.
ინდიკატორი 2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	სახელმწიფო ენა: სასურველია, კათედრამ დანერგოს პრაქტიკა, რომლითაც მასწავლებლებს და საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებსაც შეეძლებათ უკუკავშირის მიცემა გამოყენებული რესურსების შესახებ, რათა მათი ეფექტურობა მუდმივად გაუმჯობესდეს. ამგვარი პრაქტიკის დანერგვა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დამხმარე რესურსების ხარისხს და უზრუნველყოფს, რომ ისინი მართლაც ეფექტურად ემსახურონ სასწავლო მიზნებს.
2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სპორტი: სასურველია სკოლამ მოკლევადიან პერიოდში იზრუნოს როგორც დამატებითი სპორტული ინვენტარის შეძენის, ასევე სპორტული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების გაუმჯობესებაზე.
2.2.2.4.	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი, კურიკულუმში განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსი.	სკოლამ გამოაცხადოს ვაკანსია და შესაბამისი პროცედურების დაცვით მოახდინოს კვალიფიციური კადრის შერჩევა.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)



VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

საავტორიზაციო ვიზიტის შემდეგ სკოლას გაეგზავნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის პროექტი, რომლის გაცნობის შემდეგ, სკოლამ გამოხატა თანხმობა დასკვნის პროექტში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით და წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მტკიცებულებებით; ასევე, აღსანიშნავია, რომ სკოლა ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს და ითვალისწინებს შემდგომ მუშაობაში;

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით განხორციელებულია ღონისძიებები შემდეგი ინდიკატორების დასაკმაყოფილებლად:

- სკოლას 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმაში არ ჰქონდა განსაზღვრული თუ რა ფინანსური და მატერიალური რესურსით უზრუნველყოფდა კონკრეტული აქტივობების განხორციელებას, რაც არ შეესაბამება **ინდიკატორი 1.2.1.4-ის** მოთხოვნებს:

სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია;

სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 ს/წ სამოქმედო გეგმის რედაქტირებული ფორმა, საიდანაც ჩანს, რომ სკოლამ დააკონკრეტა თუ რა ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსით უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებას;

განხორციელებული ცვლილებები დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით: დანართი #1, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

ინდიკატორი 1.2.1.4 დაკმაყოფილებულია



- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში სკოლას არ ჰქონდა აღწერილი დროებით არ მყოფი თანამშრომლის ჩანაცვლების მექანიზმი, რაც არ შეესაბამება **ინდიკატორ 3.1.2.2**-ის მოთხოვნებს:
სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის რედაქტირებული ფორმა, საიდანაც ჩანს, რომ სკოლამ ცვლილებები შეიტანა მარეგულირებელ დოკუმენტში და შეიმუშავა დროებით არ მყოფი თანამშრომლის ჩანაცვლების მექანიზმი;
განხორციელებული ცვლილებები დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით: დანართი #2, ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა;

ინდიკატორი 3.1.2.2 დაკმაყოფილებულია

- სკოლის მიერ 2025-2026 ს/წ გამოცხადებული ვაკანსიის შედეგად მიღებულ მასწავლებელს არ ჰქონდა წარმოდგენილი შესაბამისი უწყების მიერ გაცემული ცნობა უფლების შეზღუდვის შესახებ, რაც არ შეესაბამება **ინდიკატორი 3.1.2.3**-ის მოთხოვნებს:
პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
სკოლამ წარმოადგინა უფლებამოსილი უწყების მიერ სკოლის თანამშრომელზე გაცემული ცნობა უფლების შეზღუდვის არ არსებობის შესახებ, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით: დანართი #3, ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ;

ინდიკატორი 3.1.2.3 დაკმაყოფილებულია

- მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, პერსონალის კვალიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ ნორმებსა და სკოლის მიერ კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად დამატებით გაწერილ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, თუმცა ხელშეკრულების საფუძველზე სკოლაში დასაქმებულ ზოგიერთ მასწავლებელს არ აქვს დადასტურებული საგნობრივი კომპეტენციები, რაც არ შეესაბამება **ინდიკატორ 3.1.2.4**-ის მოთხოვნებს:

პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლამ განმარტა, რომ მაღალმთიანი რეგიონების მცირეკონტიგენტის სკოლების მსგავსად, მათთვისაც დამახასიათებელია კადრების დეფიციტი, რაც გამოწვეულია რთული ბუნებრივი პირობებითა და მოსახლეობის მიგრაციით. ზოგიერთ პოზიციაზე სკოლა ყოველწლიურად აცხადებს ვაკანსიას, მაგრამ მსურველების არ არსებობის გამო, ვაკანსიის შევსება ვერ ხერხდება. სკოლა მიმართავს საათების შიდა განაწილებას კათედრების მიხედვით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით ჩანს, რომ აღნიშნულ ვადებში (19.03.2026-31.08.2026) სკოლა გეგმავს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსის მობილიზებას: მასწავლებლები, რომლებსაც არ აქვთ დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია, ვალდებულნი არიან ჩააბარონ საგნის გამოცდა შემდეგი სასწავლო წლის დაწყებამდე, სკოლა ხელს შეუწყობს

მათი მომზადების პროცესს შესაბამისი სასკოლო რესურსების უზრუნველყოფით. იმ შემთხვევაში, თუ მოქმედი პედაგოგები ვერ დაადასტურებენ საგნობრივ კონპეტენციას, სკოლა უზრუნველყოფს შესაბამისი კადრების მოძიებას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება: შესაბამისობის გეგმა

ინდიკატორი 3.1.2.4 მეტწილად დაკმაყოფილებულია

- სათანადო უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად, სკოლის სამედიცინო კაბინეტში არსებული ტახტი არ იყო ნაწილობრივ დაფარული ხელოვნური ბარიერით, რაც არ შეესაბამება **ინდიკატორ 3.4.1.2** -ის მოთხოვნებს:

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;

სკოლამ განახორციელა ღონისძიებები აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით: დანართი #4, ფოტომასალა სამედიცინო კაბინეტის შესახებ;

ინდიკატორი 3.4.1.2 დაკმაყოფილებულია

სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია კვლევითი და პრაქტიკული სამუშაოებისათვის სწავლების საბაზო და საშუალო საფეხურზე, რაც არ შეესაბამება **ინდიკატორ 2.2.2.3-ის** მოთხოვნებს:

კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

შესაბამისობის გეგმის მიხედვით სკოლა იღებს ვალდებულებას აღნიშნულ ვადაში (19.03.2026-31.12.2027) უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა კვლევითი და პრაქტიკული სამუშაოებისათვის სწავლების საბაზო და საშუალო საფეხურზე, რისთვისაც სკოლამ გაგზავნა მოთხოვნა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის საგანმანათლებლო ინოვაციების სამმართველოში სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით აღჭურვის თაობაზე;

მტკიცებულება: შესაბამისობის გეგმა

ინდიკატორი 2.2.2.3. მეტწილად დაკმაყოფილებულია

- ხელშეკრულების საფუძველზე სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებს მუსიკაში, ხელოვნებასა და გეოგრაფიაში არ აქვთ დადასტურებული საგნობრივი კომპეტენციები, რაც არ შეესაბამება **ინდიკატორ 2.2.2.4-ის** მოთხოვნებს:

სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი;

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით ჩანს, რომ აღნიშნულ ვადებში (19.03.2026-31.08.2026) სკოლა გეგმავს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსის მობილიზებას;



მტკიცებულება: შესაბამისობის გეგმა

ინდიკატორი 2.2.2.4 მეტწილად დაკმაყოფილებულია

- სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის პირველადი გეგმის მიხედვით, ასევე სკოლაში ვიზიტით დადგინდა, რომ სკოლას არ აქვს შექმნილი სრულად ადაპტირებული გარემო, რაც არ შეესაბამება ინდიკატორ 3.5.1.3 -ის მოთხოვნებს:

სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

ამჟამად სკოლაში სწავლობს 28 მოსწავლე, მათ შორის არ არის სსსმ და შშმ მოსწავლე.

სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც გაწერილი აქვს აქტივობა ადაპტირებული ლიფტის დასამონტაჟებლად. 2025 წლის 12 დეკემბერს სკოლას გაგზავნილი აქვს წერილი რესურსცენტრის შუამდგომლობით. ამ ეტაპზე სკოლა იმყოფება პასუხის მოლოდინში, აქტივობა გაწერილი აქვთ ორწლიან პერიოდზე;

ინდიკატორი 3.5.1.3 ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმისა და მტკიცებულებების გაცნობის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობს და შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. მისიაში აქცენტი კეთდება იმაზე, რომ სკოლამ საინტერესო, ხალისიან, მშვიდ, მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთპატივისცემის გარემოში აღზარდოს ქვეყნის წარმატებისათვის მებრძოლი ლიდერი, პატრიოტი, კანონმოჩილი, ტოლერანტი, ფიზიკურად ძლიერი და სულიერად მტკიცე მოქალაქე;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

სკოლის მისიისა და ხედვის ტექსტის მიხედვით, ასევე ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ სკოლა ცდილობს შექმნას უსაფრთხო და აკადემიურად გამართული თანამედროვე სასწავლო გარემო კვალიფიციური კადრების მოზიდვითა და ინფრასტრუქტურის განვითარებით, შეინარჩუნოს დაწესებულებაში არსებული ტრადიციები და გაამდიეროს ის ახალი იდეებითა და ინოვაციური მიდგომებით;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობითა და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში მონაწილეობდნენ როგორც სკოლის პედაგოგები, ასევე სასკოლო საზოგადოების სხვა წევრები: მშობლები, მოსწავლეები, თემის წარმომადგენლები. სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში მონაწილე პირები განისაზღვრა სკოლის დირექტორის ბრძანებით. აღნიშნულმა ჯგუფმა ერთობლივად შეიმუშავა დოკუმენტის პროექტი. შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენისთვის გაუზიარა და გააცნო დაინტერესებულ ჯგუფებს, მათ შორის პედაგოგიურ საბჭოს.



ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

ვიზიტის პერიოდში სკოლის საქმიანობაზე დაკვირვებით, ასევე გასაუბრებით აშკარად გამოიკვეთა, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის თანამშრომლები პედაგოგიურ საბჭოსა და საგნობრივი კათედრების სხდომებზე სასკოლო სასწავლო გეგმის განხილვისას ეცნობიან სკოლის მისიას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ავტორიზაციის განხორციელების მომენტისთვის სკოლის არსებული მისია, ხედვა და ღირებულებები ფართო ფორმატის ფურცელზე ამობეჭდილი და გაკრული იყო სკოლის ფოიეში. ასევე სკოლამ, სამინისტროს მხარდაჭერით, შექმნა ვებგვერდი, სადაც ატვირთულია სკოლასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია, მათ შორის სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლის სახელწოდება შესაბამეა მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება შესაბამისობაშია კანონმდებლობით დაწესებულ ტერმინთან, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის # 448 ბრძანებასთან. სკოლასთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტში სკოლა მოიხსენება, როგორც:

„სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გეგელიძეების საჯარო სკოლა“

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება (დანართი 1.1.1.1)
2. სასკოლო-სასწავლო გეგმა(დანართი 1.1.1.2-1.1.1.3)
3. სამუშაო ჯგუფის ოქმი N 1 (დანართი 1.1.1.3)
4. ბრძანება სკოლაზე სახელწოდების მინიჭების შესახებ
5. სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია



შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

- შეესაბამება
- მეტწილად შეესაბამება
- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს

სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც შეიცავს სასკოლო საზოგადოების ჩართვის და მათი პრიორიტეტების გათვალისწინების მექანიზმებს. მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა ხდება სასკოლო საზოგადოების გამოკითხვითა და SWOT- ანალიზით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

სკოლის სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, მოიცავს 2025-2032 წლებს, მასში დეტალურადაა გაწერილი სკოლის განვითარების ძირითადი მიზნები და მიზნების შესაბამისი ამოცანები, რომლებიც მისიასთან ძირითადად თავსებადია;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას



2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა არის სრული, დეტალურად გაწერილი და სრულ შთაბეჭდილებას ქმნის პროცესების და საქმიანობის დაგეგმვის თვალსაზრისით. აღნიშნული გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული განვითარების გეგმაში განსაზღვრული მიზნებიდან, თუმცა დაუზუსტებელია კონკრეტული აქტივობები რა რესურსით განხორციელდება;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

სამოქმედო გეგმა გაწერილია 2025-2026 სასწავლო წელზე. მასში განსაზღვრული აქტივობები გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან, სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, გეგმის შესრულების გაზომვადი მექანიზმები და ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/ სტრუქტურული ერთეულები; რესურსების გრაფაში სკოლას განსაზღვრული აქვს თუ რა ფინანსური და მატერიალური რესურსით უზრუნველყოფს კონკრეტული აქტივობის განხორციელებას;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (2025-2032 წწ)
2. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026 ს/ წ)
3. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს



სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის მე-11 მუხლში აღწერილია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, შესაბამისი ცხრილით;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

სკოლა ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს მათ მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით. სტრატეგიული განვითარების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებითა და შეფასებით, თუ რამდენად ხორციელდება სტრატეგიული მიზნები და ამოცანები. სტრატეგიული განვითარების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს სტრატეგიული დაგეგვის ჯგუფი;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სკოლაში არსებული პრაქტიკის მიხედვით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგს ატარებს გეგმებში მითითებული სტრუქტურული ერთეული. გეგმის განხორციელების შედეგების შეფასება ხდება სტრუქტურული ერთეულების მიერ. სასკოლო საზოგადოების წევრთა აზრის მოსმენის საშუალებებად მიჩნეულია პედაგოგიურ საბჭოსა და კათედრების სხდომები,

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები განიხილება სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. დამსწრე საზოგადოების აზრის მოსმენის შემდეგ კი ისახება პროცესების შემდგომი განვითარების ხელშემწყობი აქტივობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (2025-2032 წწ)
2. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026 ს/ წ)
3. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.
 - შეესაბამება
 - მეტწილად შეესაბამება
 - ნაწილობრივ შეესაბამება
 - არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, თვითშეფასების კითხვარისა და ვიზიტის მიხედვით, სკოლაში მოქმედებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, სკოლის დირექცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, საგნობრივი კათედრები. აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული პირების ფუნქციები ძირითადად ეყრდნობა „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა



და სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შინაარსს, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შინაარსსა და „ეროვნული სასაწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შინაარსს. დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები დაზუსტებულია თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ფუნქცია-მოვალეობების აღმწერ დოკუმენტში და თანამშრომელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

სასკოლო საზოგადოებას წარმოადგენს სკოლის ყველა თანამშრომელი, რომელთა ფუნქცია-მოვალეობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით და შინაგანაწესით. სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების არსებული პრაქტიკა ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას. სტრუქტურული ერთეულის/პირების ფუნქციები რეგულირდება სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი შემდეგი დოკუმენტით: თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები. სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს სკოლის საგანმანათლებლო, ფინანსური და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შესახებ. დირექტორი უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელებას, კოორდინაციას უწევს კათედრების მუშაობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები.
2. სკოლის შინაგანაწესი;
3. საშტატო განრიგი;
4. შრომითი ხელშეკრულებები;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად

სკოლის დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, გამოცემულია შესაბამისი ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტები. პერსონალის მართვასთან დაკავშირებით სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, ასევე, მართვის გარკვეული მექანიზმები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლას შემუშავებული აქვს „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომელშიც მუხლობრივად გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის მიზნები და სტრატეგიები, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანები და ღირებულებები, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის როლი სწავლის პროცესის გაუმჯობესებაში, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება და მართვის ციკლი, მასწავლებელთა პროფესიული და კარიერული განვითარება, სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა და შეფასება, შრომითი ხელშეკრულებების დადება და გაწყვეტა. სკოლას პერსონალის მართვის წესები და პირობები ასევე წარმოდგენილი აქვს შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. შინაგანაწესით განსაზღვრულია: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, დასვენების ხანგრძლივობა; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები; სკოლაში ჩაცმულობის წესი და ა.შ. სკოლის პერსონალთან გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისი ხელშეკრულებები, პერსონალთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ხელშეკრულების ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს. სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებული პირები იცნობენ ერთმანეთის ფუნქცია-მოვალეობებს და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია საქმიანობის შეთავსება. დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტში აღწერილია თუ როგორ ხდება დროებით არ მყოფი თანამშრომლის ჩანაცვლება;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით

სკოლაში თანამშრომლების მიღება ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, შიდა და ღია კონკურსის საფუძველზე. ვაკანსიების შესახებ ინფორმაციას სკოლა განათავსებს <https://teacherjobs.ge/> პლატფორმაზე. კანონის შესაბამისად ცხადდება ვაკანსია, იქმნება კომისია

და, საკონკურსო ეტაპების გავლის შემდეგ (დოკუმენტაციის გადარჩევა, გასაუბრება) ხდება მოთხოვნათა შესაბამისად კვალიფიციური კადრის შერჩევა. უკანასკნელ პერიოდში სკოლას ჰყავს კონკურსით შერჩეული მასწავლებელი ისტორიაში, შერჩევის პროცესი მიმდინარეობდა გამართულად, კანონმდებლობის დაცვით. სკოლის პერსონალთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები. სკოლის პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ შსს-ს მიერ გაცემული ყველა საჭირო დოკუმენტი;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლაში პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებით დადგინდა, რომ დასაქმებულთა უმრავლესობის კვალიფიკაცია შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებსა და სკოლაში დაკავებულ თანამდებობას. თუმცა ვიზიტის დროს აღმოჩნდა, რომ სკოლას არ ჰყავდა შესაბამისი კვალიფიკაციის მასწავლებელი ზოგიერთ საგანში: ხელოვნება, მუსიკა, გეოგრაფია; სკოლამ განმარტა, რომ მაღალმთიანი რეგიონების მცირეკონტიგენტის სკოლების მსგავსად, მათთვისაც დამახასიათებელია კადრების დეფიციტი, რაც გამოწვეულია მოსახლეობის მიგრაციით. ზოგიერთ პოზიციაზე სკოლა ყოველწლიურად აცხადებს ვაკანსიას, მაგრამ მსურველების არ არსებობის გამო, ვაკანსიის შევსება ვერ ხერხდება. სკოლა მიმართავს საათების შიდა განაწილებას კათედრების მიხედვით. სკოლის ადმინისტრაციასა და კათედრის წევრებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ეს მასწავლებლები კეთილსინდისიერად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს, ზრუნავენ პროფესიულ განვითარებაზე და აქვთ გარკვეული წარმატებები. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აღნიშნული პედაგოგები აპირებენ მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებზე დარეგისტრირებას და კვალიფიკაციის დადასტურებას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით ჩანს, რომ აღნიშნულ ვადებში (19.03.2026–31.08.2026) სკოლა გეგმავს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსის მობილიზებას;

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით ირკვევა, რომ სკოლის მუშაობა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც თავლშისაცემი იყო დაწესებულებაში ვიზიტისას. სასკოლო გეგმის შემუშავება ხორციელდება გუნდურად, კათედრების

ჩართულობით და გადაწყვეტილებაც მიიღება გუნდურად, თუმცა ნებისმიერ წევრს აქვს უფლება დააფიქსიროს თავისი აზრი. აქტიურია კათედრებს შორის თანამშრომლობა, რასაც მოწმობს ჩატარებული გაკვეთილებისა და განხორციელებული პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის დებულების მიხედვით, სხვადასხვა საგნის მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, მუშაობენ ერთობლივ პროექტებზე, ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, ერთმანეთს აძლევენ სიტყვიერ რეკომენდაციებს. აღსანიშნავია, რომ სკოლის შინაგანაწესში ცალკე პუნქტებია გამოყოფილი თანამშრომლების წარმატების აღიარებისა და დაჯილდოებისთვის. მასწავლებლების წახალისება და დაჯილდოება სკოლაში ჩვეულებრივი პრაქტიკაა. სკოლისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მისი წარმატებები აღიარებული იყოს და გაუზიაროს სასკოლო საზოგადოებას და თემს, წარმატების გაზიარება ხდება ასევე შემდეგი მექანიზმების გამოყენებით: სკოლის სოციალური ქსელები და სკოლის ვებგვერდი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები.
2. სკოლის შინაგანაწესი;
3. საშტატო განრიგი;
4. შრომითი ხელშეკრულებები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

- შეესაბამება
- მეტწილად შეესაბამება
- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები

სკოლაში პერსონალის შეფასებისა და საჭიროებების დადგენის უზრუნველსაყოფად ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ის აქტიურად მუშაობს მასწავლებელთა საჭიროებების დადგენის მიზნით. მის მოვალეობაში შედის სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. ხარისხის განვითარების ჯგუფი ახორციელებს გაკვეთილებზე დასწრებას, შეფასებას, გასცემს უკუკავშირს და რეკომენდაციებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

სკოლა ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ ზრდაზე. ეს ხდება როგორც გარე, ასევე შიდა მექანიზმების საშუალებით, გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად.. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი სასწავლო წლის განმავლობაში ცდილობს ხელი შეუწყოს მასწავლებლებს პროფესიულ განვითარებაში, დაადგინოს მათი საჭიროებები და საჭიროებების გადაჭრის გზა/გზები. სკოლაში შემუშავებულია გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების გრაფიკი კათედრების მიხედვით, გაკვეთილის შეფასების რუბრიკები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას, დროულად აწვდის ინფორმაციას სიახლეების და ცვლილებების შესახებ მასწავლებლებს რეგისტრირდებიან და ესწრებიან მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებულ სავალდებულო ტრენინგებს. პედაგოგები ეცნობიან სწავლების ახალ მიდგომებს/მეთოდებს და ნერგავენ საგაკვეთილო პროცესში. მასწავლებელთა მიერ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა ძირითადად მიმართულია სწავლა-სწავლების უფრო მეტად სრულყოფაზე, გამრავალფეროვნებაზე. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა , რომ სკოლა მასწავლებლების პროფესიული განვითარებისთვის აქტიურად იყენებს საერთო სასკოლო პროექტებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია



4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; ხორციელდება დიალოგი და კომუნიკაცია დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის. სკოლის დირექტორი ახალ კადრს აცნობს სკოლის ისტორიას, წესებს, ტრადიციებს და ამის შემდეგ წარუდგენს სასკოლო საზოგადოებას და პედაგოგიურ კოლექტივს. სოციალიზაციისა და ადაპტაციის ხელშეწყობისათვის კათედრა ხვდება მას, აცნობს სახელმძღვანელოებს, დამატებით რესურსებს, კურიკულუმს, შეფასების ინსტრუმენტებს, შინაგანაწესს, ათვალერებინებს სკოლას. დირექცია ხელს უწყობს ახალი კადრის სკოლის სრულფასოვან გუნდის წევრად ჩამოყალიბებას. სკოლა დეტალურად ეცნობა მის პირად საქმეს და ცდილობს ისეთი საქმის განხორციელება დაავალოს პირველ ეტაპზე, რაც გაუადვილებს მუშაობას და შეგუებას ახალ გარემოსთან. სკოლის მიერ მიღებული ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში მკაფიოდაა გაწერილი ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია სამუშაო სივრცეში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებით, სკოლა მხარს უჭერს მასწავლებლების მიერ შემოთავაზებულ ნებისმიერ ინიციატივას, რომელიც გამოიხატება როგორც სკოლის შიგნით განსახორციელებელი აქტივობებით, ასევე სკოლის გარეთ. ინიციატივების წახალისების მექანიზმები გაწერილია სკოლის შინაგანაწესსა და დასაქმებულებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პროფესიული მხადაჭერის ჯგუფის დებულება;
2. შინაგანაწესი;
3. ცნობები ტრენინგების გავლის შესახებ;
4. ინტეგრირებული და სამოძღვრო გაკვეთილების მასალები;
5. სასკოლო და საკლასო პროექტების მასალები;
6. მასწავლებელთა შრომის წახალისების ფორმა;

შეფასება:



- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

- შეესაბამება
- მეტწილად შეესაბამება
- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების: სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები, სასკოლო სასწავლო გეგმა, საგნობრივი კურიკულუმები, მასწავლებელთა საგაკვეთილო პროცესზე დასწრების განრიგი და სასკოლო საქმიანობის აღმწერი სხვა დოკუმენტების შინაარსების მიხედვით ჩანს, რომ სკოლის მართვა მიმდინარეობს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის - დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგისა და შეფასება/რევიზიის მიხედვით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების: სკოლის შინაგანაწესი, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები, სასკოლო სასწავლო გეგმა, საგნობრივი კურიკულუმები, მასწავლებელთა საგაკვეთილო პროცესზე დასწრების განრიგი და სასკოლო საქმიანობის აღმწერი სხვა დოკუმენტების შინაარსების მიხედვით, უმეტეს შემთხვევაში განსაზღვრულია ვის მიერ, რა ნაბიჯების



გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება ესა თუ ის პროცესი. სკოლაში ვიზიტმა ცხადყო, რომ დასაქმებულმა პირებმა იციან რა, როდის უნდა გააკეთონ და რაზე აკისრიათ კონკრეტული პასუხისმგებლობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლას შემუშავებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელიც შინაგანაწესთან ერთად ქმნის საჩივრების განხილვის სისტემას. სკოლაში დასაქმებული პირების და მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები გაწერილია სკოლასა და ამ უკანასკნელთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებშიც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლის შინაგანაწესით ხელი ეწყობა სასკოლო საზოგადოების უფლებების შესახებ ინფორმაციის გაზიარებასა და უფლებების დაცვას. თითოეულ დასაქმებულთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, სადაც დეტალურად არის გაწერილი დასაქმებულის უფლებები. მშობელთა ინფორმირებულობა განისაზღვრება სადამრიგებლო პროგრამებით და ხელშეკრულებით. შინაგანაწესის რამდენიმე მუხლში გვხვდება მშობლის ინფორმირებულობის ვალდებულება, სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი და საჭიროების შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი;
2. ხელშეკრულებები;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა



ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები

სასკოლო პროცესებთან დაკავშირებით, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას, ასევე, უკუკავშირის მიღებას სკოლა ახდენს რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ, გამოიყენება დასწრებითი ფორმატი, სკოლის მთლიანი პერსონალის შეკრება და ინფორმაციის მიწოდება და უკუკავშირის მიღება, მშობლებთან შეხვედრები, სადამრიგებლო პროგრამები. ასევე, ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების საინფორმაციო დაფაზე განთავსება, სოციალურ ქსელში განთავსება, ე.წ. ჩატებსა და მესენჯერ ჯგუფებში გაზიარება. ასევე, სკოლის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციები განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სასკოლო ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სხვადასხვა ფორმით გამოიხატება, რასაც განაპირობებს სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციების შინაარსი. მაგ.: სკოლაში მოქმედ სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინური კომიტეტს შეადგენენ სკოლის მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები. აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულებში მათი ეფექტური მუშაობისთვის, სკოლა იცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. მასწავლებლებს საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირების საშუალება ეძლევათ, როგორც სამეურვეო საბჭოში, ასევე პედაგოგიურ საბჭოსა და საგნობრივ კათედრებზე, მოსწავლეებს მოსწავლეთა თვითმმართველობაში, ხოლო მშობლებს სამეურვეო საბჭოში და კლასის მშობელთა კრებებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი;
2. ხელშეკრულებები;
3. სამეურვეო საბჭოს ოქმი.
4. მრჩეველთა საბჭოს დებულება
5. თვითმმართველობის დებულება.

6. დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

- შეესაბამება
- მეტწილად შეესაბამება
- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)



სკოლა ცდილობს შექმნას უსაფრთხო გარემო, რაც საშუალებას იძლევა შეფერხების გარეშე წარიმართოს სასწავლო პროცესი, ეს ეხება როგორც შენობის შიდა პერიმეტრს, ასევე სკოლის მიმდებარე ტერიტორიას. სკოლას არ ჰყავს მანდატური. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირები. სკოლის პერიმეტრი დაცულია 24 საათის განმავლობაში სკოლის დარაჯის მიერ (საშტატო განრიგით გამოყოფილია დარაჯის 2 შტატი).

სკოლას შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ჰქონდა აქტივობები უფლებამოსილი ორგანოების მიერ შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნისა და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მოსაპოვებლად, ასევე, ვიდეოთვალთვალის კამერების დასამონტაჟებლად და სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დასადგენად; ვიზიტის დროისათვის სკოლამ ეს აქტივობები სრულად განახორციელა;

სკოლაში დამონტაჟებულია შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოსათვალთვალო კამერები, რომლებიც ვიზიტის დროს ჩართულ მდგომარეობაში იყო; სკოლამ წარმოადგინა უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ; ასევე, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა არის დადებითი; სკოლის ორივე სართულის დერეფანში გამოკრულია სკოლის აზომვითი ნახაზის შესაბამისი საევაკუაციო გეგმა; 2025 წლის 14 დეკემბერს სკოლას გაგზავნილი აქვს წერილი რესურსცენტრის უფროსთან შესაბამის უფლებამოსილ უწყებასთან შუამდგომლობაზე სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნის შესაბამისობის დადგენის მიზნით. სკოლის დერეფნებში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო სტენდები შესაბამისი აღჭურვილობით, ცეცხლმაქრები დამუხტულ მდგომარეობაშია; სკოლის დერეფნებსა და საკლასო ოთახებში დამონტაჟებულია დაკვამლიანების დეტექტორები;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლა უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას. კერძოდ, სკოლას ჰყავს მოთხოვნების შესაბამისი სამედიცინო პერსონალი ექთანის სახით, რომელიც ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფუნქცია-მოვალეობებს. შენობაში განთავსებულია სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტები ინახება დაცულ კარადაში შესაბამის პირობებში და მასთან წვდომა აქვს მხოლოდ ექთანს. კაბინეტში არის მაცივარი ყინულისათვის; ექთანი აწარმოებს ყოველდღიურ ჟურნალს, რომელშიც ასახულია სამედიცინო კაბინეტში განხორციელებული ქმედებები; სამედიცინო კაბინეტში არსებული ტახტი შემოისაზღვრა ხელოვნური ბარიერით;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად გამოყოფილია შესაბამისი პირები, გადანაწილებულია მოვალეობები. სკოლაში უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილ პირებს და სკოლის დირექციას, ასევე ამ პროცესებში ჩართულია სკოლის 2 დარაჯი, დამრიგებლები და მორიგეები, რომლებიც მორიგეობის განრიგის მიხედვით ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან გააკონტროლონ მოსწავლეთა შენობაში შესვლისა და შენობის დატოვების პროცესი. სასწავლო პროცესის დროს უცხო პირების გადაადგილება დაუშვებელია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობის დაცვით შექმნილი უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო. სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის 112--ნომრების შესახებ. სკოლაში დამონტაჟებულია შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოსათვალითვალო კამერები . (საქ. განათლების მეცნიერებისა და სპორტის მინისტრის 29.01.2019 წლის 06/ნ ბრძანების 41-ე მუხლის მოთხოვნა)

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

სკოლის მისიის, შინაგაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირება ადწერებისა და სასკოლო საზოგადოების წევრებთან (დასაქმებული და მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი) გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსები ორიენტირებულია სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებაზე. აღნიშნულისთვის შემუშავებულია სხვადასხვა წესი და სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება არა ერთი საგანმანათლებლო აქტივობა. მასწავლებლები გასაუბრებისას ხშირად აკეთებდნენ აქცენტს მათთვის და მოსწავლეებისათვის პოზიტიური საგანმანათლებლო გარემოს მნიშვნელობასა და მისი ჩამოყალიბების ხელშემწყობ მიდგომებზე. სადამრიგებლო პროგრამებით წარმოდგენილია კლასსათვის თემები, რომლებიც მიმართულია ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე.სადამრიგებლო საათის დროს დამრიგებელი მოსწავლეებს აძლევს საშუალებას ისაუბრონ სხვადასხვა მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებზე: როგორც არის ქალთა მიმართ ძალადობა, ოჯახური ძალადობა, ნაადრევი ქორწინება, ბულინგი-კიბერბულინგი და მათი გავლენა ბავშვთა ფსიქიკაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;



სკოლის შენობის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია, რაც დასტურდება შესაბამის სუბიექტებთან დადებული ხელშეკრულებების შინაარსით. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას ახორციელებს სამი დამლაგებელი. პერსონალი უზრუნველყოფილია სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებებით. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარი, ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ სივრცეში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. სკოლას გააჩნია ცენტრალური წყალმომარაგების სისტემა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლას პერსონალური ინფორმაციის დასაცავად, დირექტორის ბრძანებით, განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი პირი. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები ინახება დაცულ ადგილას, რომელზეც წვდომა აქვს კონკრეტულ პიროვნებას. ასევე კონკრეტული პიროვნებაა პასუხისმგებელი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მართვაზე. პერსონალური ინფორმაცია გაიცემა მხოლოდ პირის თანხმობის შემთხვევაში. თითოეული მასწავლებელი და დამრიგებელი იცავს მოსწავლეთა პირადი მონაცემების კონფიდენციალობას. კვლევის პროცესებში, სასკოლო პროექტებში და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილე მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციის, ფოტო სურათების გასაჯაროებისათვის მშობელთა თანხმობის შესახებ პუნქტი გაწერილია ხელშეკრულების ფორმაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები; მასწავლებლები სარგებლობენ teachers.gov.ge-ს ინდივიდუალური მომხმარებლითა და პაროლით. სკოლის ტერიტორიაზე გარკვეულ საიტებზე წვდომა არ არის ხელმისაწვდომი მოსწავლეებისათვის. სკოლის კომპიუტერებში ჩატვირთულია ანტივირუსული პროგრამები. პირადი მონაცემები განთავსებულია eSchool -ის ბაზაში; საქმის წარმოებისთვის გამოიყენება სკოლის იმეილი gegelidzebi@mes.gov.ge და Eflow. მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების კუთხით კიბერ უსაფრთხოების საკითხებზე თემები შესულია სადამრიგებლო პროგრამებში. ასევე საუბრები იმართება მშობლებთანაც. სკოლა მონაცემების შეგროვებას და დაცვას ახდენს “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის სრული შესაბამისობით, რაც გაწერილია თანამშრომლებთან და მშობლებთან დადებულ ხელშეკრულებებში და შინაგანაწესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

8.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის;



სკოლა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად, პერიოდულად შეისწავლის და აფასებს არსებულ მდგომარეობას. ძირითადად მონიტორინგი ხორციელდება მრჩეველთა საბჭოსა და სკოლის დირექციის მიერ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
2. მორიგეობის ცხრილი (2025/2026 ს/წ)
3. პერსონალურ მონაცემებზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება;

შეფასება:

- o ვთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

- შეესაბამება
- მეტწილად შეესაბამება
- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისათვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადით დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობისათვის საჭირო შესაბამისი ინფრასტრუქტურით. სკოლას ქონების მართვის ეროვნული სააგენტოსგან სარგებლობის უფლებით ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გეგელიძეებში გადაცემული აქვს ფართი მასზე განთავსებული 2 სართულიანი შენობა -ნაგებობით. სკოლა წარმოადგენს ორსართულიან ქვის კაპიტალურ რეაბილიტირებულ შენობას. სკოლის ეზო შემოღობილია და ქუჩიდან გამოყოფილია რკინის ჭიშკრებით, ეზოში ბეტონის საფარია. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია ყველა საკლასო ოთახი (V და VII კლასები არ ფუნქციონირებს, დაწყებით კლასებში კლას-კომპლექტებია: I-III, II-IV), სამასწავლებლო, კომპიუტერული ლაბორატორია, დირექტორის კაბინეტი, ოთახი კლუბური მუშაობისათვის , სველი წერტილები: ცალკე ბიჭებისა და გოგონებისათვის, ადაპტირებული და მასწავლებლებისათვის, ფართო დერეფანი და შემოსასვლელი ფოიე; მეორე სართულზე განთავსებულია სააქტო დარბაზი, კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა სამკითხველო დარბაზით, სამედიცინო კაბინეტი, სათავსო ოთახი სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებებისათვის; ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით , მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სკამებით, სასკოლო დაფით და საჭირო ინვენტარით. სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია პრაქტიკული და კვლევითი სამუშაოებისათვის, სამომავლოდ სკოლას გამოყოფილი აქვს ფართი ლაბორატორიის მოსაწყობად და გაგზავნილი აქვს წერილი ზემდგომ უწყებაში ლაბორატორიული აღჭურვილობის გადასაცემად. სკოლას არ აქვს სპორტდარბაზი, თუმცა სპორტის გაკვეთილებისათვის გამოყოფილია საკლასო ოთახი, სადაც განთავსებულია სპორტული ინვენტარი და ჭადრაკის დაფა, ასევე, მეორე სართულზე არის ტენისის მაგიდა. სპორტული მოედნის ფუნქციას ასრულებს ბეტონის საფარიანი ეზო, სადაც დამონტაჟებულია კალათბურთის ფარები. სკოლაში არის 7 პერსონალური კომპიუტერი მუშა მდგომარეობაში, 3 ნოუთბუქი, 3 პრინტერი, 2 პროექტორი სხვადასხვა ლოკაციაზე. სკოლას აქვს სახურავზე დამონტაჟებული მზის პანელები, ეზოში დამონტაჟებული მზის პანელი ელექტროენერჯის მისაღებად, გათბობის ცენტრალიზებული სისტემა თხევად საწვავზე; სკოლას აქვს წყალმომარაგების გამართული სისტემა;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;



სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს ხელი მიუწვდება ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსებით სარგებლობაზე. სკოლაში შექმნილი გარემო ეხმარება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და რეალიზებაში. ზოგადად, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლას გააჩნია კარგი მატერიალური ბაზა, რომელიც თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. ყველას აქვს საშუალება შეძლონ ერთმანეთზე ზრუნვა, ჯგუფური და გუნდური მუშაობა, განივითარონ შემოქმედებითი უნარები. ამაში ხელს უწყობს:

- სააქტო დარბაზი სასკოლო საზოგადოების ერთობლივი აქტივობებისთვის, კონცერტებისა და თეატრალური წარმოდგენებისთვის;
- ბიბლიოთეკა, სადაც სათანადო ადგილზე განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც სათანადო ადგილზე განთავსებულია ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
- გარემონტებული და სათანადო ავეჯით აღჭურვილი საკლასო ოთახები;
- კეთილმოწყობილი სამასწავლებლო და დირექციის ოთახი;
- კლუბური მუშაობის ოთახი;
- სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ეზო.

ზემოთ ჩამოთვლილ სივრცეებში ტარდება სხვადასხვა სასწავლო და არაფორმალური აქტივობები, ღონისძიებები, ინტელექტუალური თამაშები, სპორტული აქტივობები და სხვა. ეს ყველაფერი ქმნის სასკოლო ცხოვრებას უფრო მრავალფეროვანს, სახალისოს, საინტერესოს და სასიამოვნოს. ასეთი გარემო ეხმარება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და რეალიზებაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

ამჟამად სკოლაში სწავლობს 28 მოსწავლე, მათ შორის არ არის სსსმ და შშმ მოსწავლე. თუმცა სკოლა გამოხატავს მზაობას, თუ შესაბამისი მოთხოვნა იქნება, შესთავაზოს მოსწავლეს კანონმდებლობით გათვალისწინებული სერვისები; ეზოდან პირველ სართულზე შემავალ კიბეებზე დამონტაჟებულია პანდუსი, პირველ სართულზე არის ადაპტირებული საპირფარეშო;

სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც გაწერილი აქვს აქტივობა ადაპტირებული ლიფტის დასამონტაჟებლად. 2025 წლის 12 დეკემბერს სკოლას გაგზავნილი აქვს წერილი რესურსცენტრის შუამდგომლობით. ამ ეტაპზე სკოლა იმყოფება პასუხის მოლოდინში, აქტივობა გაწერილი აქვთ ორწლიან პერიოდზე;

ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია

4.სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

სასკოლო საზოგადოება იმ საზოგადოებისა და თემის ნაწილია, სადაც სკოლა წარმართავს თავის საქმიანობას. შესაბამისად, სწავლა/სწავლების პროცესზე დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებასა და თემში არსებული ტენდენციები, ტრადიციები, შეხედულებები, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის მდგრადობას. სკოლაში შექმნილი სოციო-კულტურული სივრცე ხელს უწყობს, რომ ყველა წევრმა თავი იგრძნოს ამ სივრცის განუყოფელ ნაწილად; სკოლა გამოირჩევა სპორტული ტრადიციებით: ტარდება შეჯიბრებები ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, ჭადრაკში; მიღწეული წარმატებები დადასტურებულია მოპოვებული თასებითა და სიგელებით. სკოლაში იმართება პროექტები, კონკურსები, ღონისძიებები, რომლებშიც აქტიურადაა ჩართული ყველა საგნობრივი კათედრა; სკოლის წარმატებულ პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული პროექტები და კლუბური მუშაობები: ინგლისურ ენაში „როგორ ავირჩიოთ პროფესია“, ოთხდღიანი საზაფხულო ბანაკი მუნიციპალიტეტის სხვა სკოლის მოსწავლეებთან ერთად, ინტეგრირებული გაკვეთილი ინგლისურ ენასა და ბიოლოგიაში, პროექტი მათემატიკისა და ბიბლიოთეკის ინტეგრირებით, სკოლაში ფუნქციონირებს ინგლისური ენის კლუბი, ეკოკლუბი, ლიტერატურული კლუბი „სამყურა“. კლუბური მუშაობის ფარგლებში სკოლა დაფინანსდა 8 ათას ლარამდე გრანტით, რაც მოხმარდა პროექტით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებას; სკოლაში კლუბური მუშაობისათვის გამოყოფილია ცალკე ოთახი შესაბამისი აღჭურვილობით შეხვედრებისა და ღონისძიებების ჩასატარებლად; სოფელ გეგელიძეებში ფუნქციონირებს გამოჩენილი ქართველი პოეტის ფრიდონ ხალვაშის სახლ-მუზეუმი და კინორეჟისორ ზაზა ხალვაშის სახელობის კინოდარბაზი; სკოლის ძლიერ მხარედ ითვლება მუზეუმთან ერთად განხორციელებული არაერთი ღონისძიება და პროექტი სასკოლო საზოგადოებისა და თემის წევრების ერთობლივი მონაწილეობით;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

სკოლის მისიით განსაზღვრული სტრატეგიული მიზნებისა და სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო მიზნების მისაღწევად სკოლას გააჩნია შესაბამისი რესურსი:



სკოლას აქვს კეთილმოწყობილი სასკოლო ბიბლიოთეკა სამკითხველო დარბაზით. სასკოლო სასწავლო გეგმისა და საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად, სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები და მხატვრული ლიტერატურა, რომელიც აღრიცხული და დამუშავებულია სკოლის საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკაში დაცულია წიგნების შესაბამისი ბეჭდური ფორმულარები, წიგნები მე-17 გვერდზე დამოწმებულია სკოლის ბეჭდით. ბიბლიოთეკაში ვხვდებით საგანმანათლებლო რესურსებსა და თვალსაჩინოებებს, რომლითაც აქტიურად სარგებლობენ მოსწავლეები და სკოლის თანამშრომლები, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი ყოველწლიურად ივსება;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
2. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
3. აზომვითი ნახაზი;
4. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;

შეფასება:

- o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

- შეესაბამება
- მეტწილად შეესაბამება
- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

სკოლის შინაგანაწესისა და დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, სასკოლო საზოგადოების წევრებს საშუალება ეძლევათ გამოიყენონ სკოლის კომპიუტერულ და ადმინისტრაციულ ოთახებში განთავსებული ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნიკა. სკოლას მიეწოდება ინტერნეტი. ისტ-ის მასწავლებელი მუდმივ მხარდაჭერას უწევს სკოლის პერსონალს ციფრული ტექნოლოგიების მიზნობრივ გამოყენებაში; ამ ეტაპზე სკოლას აქვს 5 პერსონალური კომპიუტერი მთლიანად შორის 2 მუშა მდგომარეობაში, 5 ნოუთბუქი, პრინტერი, 5 პროექტორი სხვადასხვა ლოკაციაზე. სკოლაში არსებობს კომპიუტერული ინვენტარით აღჭურვილი კაბინეტი. შემუშავებულია კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობითა და ადგილზე ვიზიტით დადგინდა, რომ სკოლას აქვს შესაძლებლობა ინფორმაციული ტექნოლოგიები ხელმისაწვდომი იყოს ყველა მოსწავლისა და მასწავლებლისთვის; გარდა ისტ-ის გაკვეთილებისა, საგაკვეთილო პროცესის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები მასწავლებლის ხელმძღვანელობით ხშირად იყენებენ კომპიუტერულ ლაბორატორიას სხვადასხვა ტიპის კომპლექსური და შემოქმედებითი სამუშაოების მოსამზადებლად. მასწავლებლების განმარტებით, სასკოლო ჟურნალის შევსებისა და დოკუმენტაციის წარმოებისთვის, ისე რომ საგაკვეთილო პროცესს ხელი არ შეეშალოს, იყენებენ სკოლის კომპიუტერების ოთახს. სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი და გრაფიკი;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები

2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის პასუხისმგებელი პირის ბრძანება



3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

სკოლა ეყრდნობა საქმისწარმოების ზოგად ნორმატიულ აქტებს, მაგალითად საქართველოს პრეზიდენტის 1993 წლის ივლისის N 414 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქმის წარმოების ერთიანი წესის დამტკიცებისა და ამოქმედების“ შესახებ. შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების საკუთარი წესი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი, რომლის მოვალეობები რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

სკოლა მართვაში იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს მთავრობის შემოთავაზებულ ყველა ელექტრონულ ინსტრუმენტს, მათ შორის სკოლის მართვაში გამოიყენება : eflow, eschool, outlook , MS Word, MS Excel. MS Power Point, Teams და Gmail-ელექტრონული ფოსტა, Facebooc -სოციალური ქსელი და სკოლის ვებგვერდი. eflow-ს დახმარებით საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებული ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი მართვის საინფორმაციო სისტემაში, სადაც ის სრულყოფილად ასახავს ყველა სავალდებულო ინფორმაციას დადგენილი წესისა და ვადების შესაბამისად. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. სკოლის ელექტრონული სისტემებში ხდება მოსწავლეთა შეფასება და გაცდენების აღრიცხვა <https://onlineschool.emis.ge/auth>, Google, Teams და სხვა პლატფორმების გამოყენებით

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია



4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სკოლა დროულად და დაუყოვნებლივ აწვდის ანგარიშებსა თუ მოთხოვნილ ინფორმაციას შესაბამის რესურსცენტრსა და სხვა მარეგულირებელ უწყებებს. თანამშრომლობს მათთან და ამისათვის იყენებს ელექტრონულ საშუალებებს, მათ შორის სკოლის ელექტრონულ ფოსტას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 1.ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა
- 2.საქმისწარმოების წესის დამტკიცების ბრძანება
- 3.განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
- 4.წერილი ვებ გვერდზე
- 5.პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით; სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია:

- 1)სკოლის სტრუქტურა; 2)სკოლის ფილოსოფია; 3)სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;4)სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- 5)მოსწავლეთა მხარდაჭერი აქტივობები.;

გასაჯაროებული ინფორმაციები მაქსიმალურადაა დაცული პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონით. სკოლა ოფიციალური ინფორმაციის მისაწოდებლად მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის იყენებს ელექტრონულ ფოსტას, teams-ის პლათფორმას, Facebooc-ის დახურულ ჯგუფს მოსწავლეებისათვის და მასწავლებლებისათვის. ინფორმირებისა და კომუნიკაციის საშუალებაა ელექტრონული

ჟურნალი. სკოლის Facebook-ის გვერდი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ (მისამართი, ფოსტა, დირექტორის საკონტაქტო ინფორმაცია). სწავლა-სწავლების პროცესის ამსახველი მასალა ქვეყნდება სკოლის გვერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

სკოლა უზრუნველყოფს მაქსიმალურად სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების შესახებ.. ეს ეხება მოსწავლეთა მხარდამჭერი აქტივობების განხორციელებას, პარტნიორულ ურთიერთობებს, მემორანდუმით გაფორმებული ხელშეკრულებების განხორციელებას

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

საზოგადოებასთან კომუნიკაციის შემდეგ მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის შეფასებისათვის, რათა გააუმჯობესოს თავისი საქმიანობის ხარისხი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

სკოლის ვებ გვერდზე, <https://skolebi-admin.emis.ge/dashboard> ყველა ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე, საჭიროების შემთხვევაში თუ ეს აუცილებლობით იქნება გამოწვეული, სკოლას აქვს რესურსი საჭირო ინფორმაციის ინგლისურ ენაზე განთავსებისა;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები,

მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ვებგვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სადაც აღწერილია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები; სტრუქტურა, სადაც წარმოდგენილია სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულები და მათი ფუნქციები; სტრატეგიული გეგმა, სადაც წარმოდგენილია გრძელვადიანი 2025- 2032 წლების სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვანი დოკუმენტები; ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, საკონტაქტო ინფორმაცია და ინფრასტრუქტურის ფოტო მასალა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ბიბლიოთეკის ღონისძიებები;
2. სკოლის ფეისბუქგვერდი
3. სკოლის ვებგვერდი
4. მიღება-ჩაბარების აქტები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

- შეესაბამება
- მეტწილად შეესაბამება
- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები



3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

სკოლის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს ვაუჩერული დაფინანსება. სკოლა არ ღებულობს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფინანსურ სახსრებს:/გრანტებს, შემოწირულობებს/. სკოლა არ ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რადგან არ გააჩნია თავისუფალი ფართი იჯარით გასაცემად. ვაუჩერული დაფინანსებით მიღებული შემოსავლები მიემართება მიზნობრივად, სამოქმედო გეგმის შესაბამისად, სკოლის მიზნებისა და ფუნქციების განსახორციელებლად. სკოლის სწორად და გამართულად მუშაობისთვის აუცილებელია ბიუჯეტის სწორად დაგეგმვა. ბიუჯეტის დაგეგმვას სკოლა ახდენს რეალური გათვლებისა და განგარიშების საფუძველზე, როგორც შემოსავლით, ისე ხარჯვით ნაწილში. ბიუჯეტირების დაგეგმვის პროცესი დინამიკურია. შესაძლებელია, საჭიროებიდან გამომდინარე, ცვლილებების შეტანა და გადამტკიცება. სკოლას სახელფასო და კომუნალური გადასახადების შემდგომ რჩება მცირე ბიუჯეტური თანხები. ადგილზე ზეპირი ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა მიზნობრივად იყენებს მცირე ნაშთს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის სისტემა, ქმნის ყოველწლიურ ბიუჯეტს, აკეთებს ყოველთვიურ და კვარტალურ ანგარიშებს. ავსებს ბალანსის ფორმებს და წარუდგენს მაკონტროლებელ ორგანოს- სამეურვეო საბჭოს ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი;
2. ბრძანება შესყიდვებზე;
3. შესყიდვები;



შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

- შეესაბამება
- მეტწილად შეესაბამება
- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა

სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა. სკოლას აქვს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმი. სკოლას შინაგანაწესით შემუშავებული აქვს აგრეთვე მოსწავლეთა წახალისებისა და დისციპლინური გადაცდომის პრევენციის მექანიზმები, სკოლა სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, მოსწავლეებს, მშობლებს აცნობს უფლებებსა და ვალდებულებებს. მოსწავლეთა უფლებები და წესები, რომლის გაცნობაც ხორციელდება სკოლის მიერ მოსწავლეებისათვის, თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. გარდა ამისა, სკოლას აქვს ხელშეკრულება, რომელიც ფორმდება მოსწავლის მშობელ/კანონიერ წარმოდგენელსა და დაწესებულებას შორის. შესაბამისად მოსწავლის უფლებების დაცვის გარანტიად შეიძლება ჩაითვალოს აღნიშნული ხელშეკრულება.



მოსწავლის უფლება-მოვალეობა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. სასწავლო წლის დასაწყისშივე სკოლის ყველა მოსწავლე ეცნობა სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, რომელიც გამოკრულია ყველა საკლასო ოთახში. საინფორმაციო შეხვედრებზე მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობა ემყარება შემდეგ სამართლებრივ აქტებს: „კანონს ზოგადი განათლების შესახებ“, სკოლის შინაგანაწესს. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანო, თვითმმართველობა ირჩევა კლასებში ფარული კენჭისყრით, საარჩევნო პროცესს კლასში ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი. თვითმმართველობის წარმომადგენელი არის სამეურვეო საბჭოს წევრი. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის ბრძანება N 18 საფუძველზე სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გეგელიძეების საჯარო სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით შეიქმნა მრჩეველთა საბჭო. მრჩეველთა საბჭო უზრუნველყოფს სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების განხილვას და სკოლის დირექტორისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიცემას. ექსპერტთა შეფასებით, სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, შინაგანაწესი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, აღნიშნულის უზრუნველსაყოფად სკოლა აწყობს სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეთა, მშობელთა კრებებს, სადაც შინაგანაწესთან ერთად დამრიგებლები აცნობენ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის რეგულაციებს. რაც გასაუბრების დროს დაადასტურეს კიდევ მშობლებმა. სკოლის შინაგანაწესს პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. კლასის დამრიგებლებს აქვთ დახურული მესენჯერ ჯგუფები, სადაც გაწვერიანებულნი არიან მოსწავლეები/მშობლები, რის საშუალებითაც იღებენ საჭირო ინფორმაციას. საჭიროების შემთხვევაში, სკოლა გეგმავს მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ინდივიდუალურ შეხვედრებს.

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი, მოსწავლის უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი, მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამღვეის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შიდასასკოლო წესი. გასაუბრების დროს მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ მათთვის ამ წესების გაცნობა ხდება კლასის დამრიგებლის მიერ სასწავლო წლის დასაწყისში. ექსპერტთა შეფასებით,



მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. აღნიშნული ხელშეკრულება მოიცავს ინფორმაციას როგორც მოსწავლის ვალდებულებების, ისე უფლებების შესახებ. ასევე მოიცავს ინფორმაციას მხარეთა შესახებ, ხელშეკრულების ნომერს, გაფორმების თარიღსა და ადგილს, ხელშეკრულების საგანს. წარმოდგენილი დოკუმენტი სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ექსპერტთა შეფასებით, მოსწავლესთან/ კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. სკოლამ ასევე წარმოადგინა სახელმძღვანელოების მიღება-ჩაბარების ხელშეკრულებები და ბუკების გადაცემის აქტები. კლასის დამრიგებელი მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ინდივიდუალურად აცნობს ხელშეკრულებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 1.სკოლის შინაგანაწესი;
2. მშობელთან კრების ოქმი დანართი;
- 3.ხელშეკრულება სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის დანართი;
- 4.მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- 5.თანამშრომლების, მოსწავლის, მშობლის მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების წესი(სკოლის დირექტორის ბრძანება დოკუმენტის დამტკიცების შესახებ);
- 6.მოსწავლის ქცევის კოდექსი;
- 7.მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შიდასასკოლო წესი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები

სკოლა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხის რეგულირებისას ეყრდნობა მოქმედ კანონმდებლობას. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, რომლითაც რეგულირდება მოსწავლის მობილობასთან და სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხები. აღნიშნული წესი თანხვედრაშია ზოგადი განათლების შესახებ კანონთან, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებასთან, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანებასთან. მოსწავლის ჩარიცხვასთან დაკავშირებით არსებობს მობილობის შეზღუდვა: ა) 1 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე; ბ) სასწავლო წლის დასრულებამდე ერთი თვით ადრე; გ) მეორე სემესტრში მე-12 კლასელთა მობილობა, თუმცა რესურსცენტრი წერილით მიმართვის საფუძველზე უშვებს გამონაკლისს. მოსწავლეების - მობილობის საფუძველი შეიძლება იყოს ბევრი გარემოება. მაგ: საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, ოჯახის საზღვარგარეთ გამგზავრება. სტატუსის შეჩერების საფუძველი შეიძლება გახდეს, ასევე სკოლაში 45 დღე მოსწავლის გამოუცხადებლობა და სხვა გარემოებები. სტატუსის შეჩერება ხორციელდება შემდეგნაირად: მშობელი წერილობით მიმართავს სკოლას, დირექტორი გამოსცემს ბრძანებას სტატუსის შეჩერების შესახებ, აცნობებს მშობელს. სტატუსის შეჩერება აისახება eschool-ის მონაცემთა ბაზაში. სასწავლო წლის დასასრულს ხდება მოსწავლეთა საფეხურების დაძლევა ;კერძოდ საბაზო საფეხურის დაძლევა (მე-9 კლასი) და საშუალო საფეხურის დაძლევა (მე-12 კლასი). საშუალო საფეხურის დაძლევის შემდეგ ხდება მე-12 კლასის მოსწავლეთა სკოლის ბაზიდან ამორიცხვა სასწავლო წლის დასრულებამდე. შესაბამისად, ექსპერტთა შეფასებით, სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. გეგელიძეების საჯარო სკოლაში ირიცხებიან მოსწავლეები სკოლაში არსებული ადგილების რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რეგისტრაცია ხორციელდება



ელექტრონულად მართვის სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე. მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ინფორმირება ხდება სატელეფონო კომუნიკაციით ან სოციალური პლატფორმით (დახურული მესენჯერ ჯგუფით).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

სკოლა მოქმედებს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად, ასევე სკოლის მიერ დადგენილი წესის თანახმად. სკოლაში მოსწავლის მობილობა ხორციელდება მშობელთა განცხადებებისა და ბრძანებების საფუძველზე და არის გამჭვირვალე. მობილობის შემთხვევაში მშობელი წერს განცხადებას დირექტორის სახელზე, განცხადების საფუძველზე სკოლა იწყებს მოსწავლის მობილობით გადმოყვანის პროცედურას და გასცემს მოთხოვნას გადმომსვლელ სკოლაში შესაბამისი დოკუმენტაციის გამოთხოვის თაობაზე. მობილობის დროს მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვა ხორციელდება მას შემდეგ, რაც სკოლა მიიღებს გადმომსვლელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან ამორიცხვის ბრძანების ამონაწერს ელექტრონულად. იწერება ჩარიცხვის ბრძანება და მოსწავლის ჩარიცხვა შესაბამის კლასში აისახება სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ასევე, სკოლა იცავს წესს: დაუშვებელია მობილობა კალენდარული წლის პირველი სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდე, მე-12 კლასის მოსწავლის - მეორე სემესტრში, სასწავლო წლის დასრულებისას 30 კალენდარული დღის განმავლობაში. მოსწავლეთა მიერ კლასის, საფეხურის დაძლევა ხორციელდება სკოლის დირექტორის ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით სასწავლო წლის დასრულების შემდეგ. თუ მოსწავლეს აქვს შეფასებები საგნებში 5 ქულა და მეტი. თუ მოსწავლე აქვს 5 ქულაზე დაბალი შეფასება, მას ენიშნება საშემოდგომო გამოცდა. აღნიშნული რეგულაციები ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის. მოსწავლის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა ასევე ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად მშობლის განცხადების საფუძველზე, დირექტორი წერს ბრძანებას, რომელიც აისახება მართვის საინფორმაციო სისტემაში. ვიზიტისას შესწავლილ იქნა სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტები, ასევე ჩატარდა გასაუბრება საქმისმწარმოებელთან. დაწესებულებას მოსწავლის ჩარიცხვას და სხვა პროცედურებს ახორციელებს ზედმიწევნით ზუსტად.

შესაბამისად, ექსპერტთა შეფასებით, სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია



3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სასკოლო სასწავლო გეგმა, მოიცავს ინფორმაციას სკოლის მიერ შეთავაზებული მომსახურების სახეების შესახებ. თუმცა ამ ეტაპზე სკოლა არ ეწევა ფასიან საგანმანათლებლო საქმიანობას. ასევე თვალსაჩინოდ არის გამოკრული სკოლის შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს მოსწავლის ქცევას და სკოლის პოლიტიკას მოსწავლის მხრიდან არასასურველი ქცევის შემთხვევაში. სასწავლო წლის დასაწყისში კლასის კრებებზე ხდება მშობლებისთვის და მოსწავლეებისთვის სკოლის შინაგანაწესის გაცნობა. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა სახის მომსახურებას თვითმართველობის ფარგლებში შექმნილი კლუბების(წრეების) მეშვეობით. კლუბებში(წრეებში) მოსწავლეები ჩართულები არიან სურვილისამებრ და თავიანთი ინტერესების გათვალისწინებით. კლუბებში გაწევრიანება უფასოა და ინფორმაცია საჯაროა მთლიანი სასკოლო თემისათვის. მშობელს აქვს ელექტონულ ჟურნალზე წვდომა და სემესტრული ნიშნის ამალგების სურვილის შემთხვევაში დადგენილ ვადებში განცხადებით მიმართავს სკოლას. სკოლის დირექტორი ნიშნავს სემესტრულ გამოცდას. აღნიშნულის შესახებ ინფორმირებულია სასკოლო საზოგადოება. სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია სკოლაში საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

თვალსაჩინო ადგილას, ყველა საკლასო ოთახში, გამოკრულია მოსწავლის ქცევის კოდექსი. სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილია სკოლის კურიკულუმი, რომელშიც გაწერილია სკოლის კლუბები (წრეები).

სკოლა ინფორმაციას აწვდის მოსწავლეებს სასკოლო პროგრამების, აქტივობების, რესურსების შესახებ პირისპირ შეხვედრებითა და სოციალური დახურული ჯგუფების გამოყენებით. სერვისების შესახებ ინფორმაცია გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე.

სკოლაში ექსპერტთა შეფასებით, სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

ადგილზე გასაუბრებისას მშობლებმა, მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ სკოლა მათ დროულად აწვდის ინფორმაციას სიახლეების, წესების, რეგულაციების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული



სკოლა ინფორმაციის გაზიარების მიზნით იყენებს სოციალურ ქსელს, ჩატს. ექსპერტთა მიერ, გადამოწმდა სკოლის ოფიციალური ფეისბუქ-გვერდი, განთავსებული ინფორმაცია იყო უტყუარი, შესაბამისობაში მოდიოდა კანონმდებლობასთან და არ შეიცავდა რაიმე ტიპის დისკრიმინაციას. სკოლის წარმომადგენლებმა ინტერვიუებისას განაცხადეს, რომ ყოველთვის სიფრთხილით ეკიდებიან ინფორმაციის გაზიარებას, ხდება დაზუსტება და გადამოწმება და მხოლოდ მას შემდეგ აწვდიან ინფორმაციას სასკოლო საზოგადოების წევრებს. სკოლაში განხორციელებული პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლაში მოქმედი სერვისების შესახებ დამრიგებლები მშობლებს ინფორმაციას აწვდიან სადამრიგებლო კრებებზე.

ექსპერტთა შეფასებით, სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/ აღდგენისა და შეჩერების წესი; დანართი;
2. სკოლის სოციალური ქსელის გვერდი დანართი;
3. მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულება ;
4. საფეხურის დაძლევის პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
5. სკოლის შინაგანაწესი;
6. სკოლის წესდება;

შეფასება:

- ვთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.



- შეესაბამება
- მეტწილად შეესაბამება
- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის მექანიზმი

სკოლას აქვს გაწერილი მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. დოკუმენტში ჩამოყალიბებულია ის აქტივობები, რაც უნდა განხორციელდეს ტრანზაციის პერიოდში. სკოლა მშობლებს აწვდის ინფორმაციას იმ სერვისების შესახებ, რასაც სკოლა ბავშვებს და მის მშობლებს სთავაზობს. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციას. ახალი სასწავლო წლისათვის დამრიგებლების მიერ ხდება როგორც საკლასო ოთახის, ასევე სკოლის ეზოს მოწყობა. სკოლაში შექმნილია თბილი და მეგობრული გარემო. კლასის დამრიგებელი მოსწავლეებს აცნობს სასკოლო სივრცეს და გარემოს. ახალ გადმოსულ მოსწავლეს დამრიგებელი წარუდგენს მის თანაკლასელებს, აცნობს სკოლის წესებს და შინაგანაწესს, სკოლის ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით. საკლასო ოთახებში განლაგებულია მოსწავლეთა ასაკისა და სიმადლის შესაბამისი I, II, III და IV დონის მერხები. ხდება სკოლის ინტერიერის და საკლასო ოთახების დასუფთავება–განახლება, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ინტერესის გაღვივებას სკოლისადმი, მოტივაციის გაზრდას და სკოლასთან სწრაფი ადაპტაციის პროცესს. ასევე სკოლა აწარმოებს ახალი მოსწავლეების მიერ საკლასო ოთახების, სველი წერტილების, საბიბლიოთეკო სივრცის, ისტ–ის და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის, სკოლის ეზოს დათვალიერებასა და გაცნობას. ახალი სასწავლო წლის დაწყებისას ეწყობა საზეიმო შეხვედრა და მოსწავლეთა წახალისება წინა წელს მიღწეული წარმატებისათვის. მოსწავლეებს გადაეცემა სასწავლო სახელმძღვანელოები. ასეთი პოზიტიური მოქმედება და დამოკიდებულება ზრდის მოსწავლეთა ადაპტაციის ხარისხს ახალი სასწავლო წლიდან და მეტ შეგუებულობას ქმნის სასწავლო გარემოსთან.

მოსწავლეებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სკოლის მიერ მათი ინტერესები გათვალისწინებულია, მაგალითად სკოლის ბიბლიოთეკარი წიგნების შეძენის დროს ატარებს მოსწავლეთა გამოკითხვას და ახალ ლიტრატურას შეიძენს ამ გამოკითხვის საფუძველზე ადგილზე მოსწავლეებთან, მშობლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სკოლაში ხალისიანი, პოზიტიური გარემოა, რაც ხელს უწყობს დაცულობის განცდასა და მოტივაციის ამაღლებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია



2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, განხორციელებული ღონისძიებები, თუ პროექტები მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მოსწავლეებს იგრძნონ თავი სასკოლო საზოგადოების წევრებად, ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლისთვის პრიორიტეტული და ეფექტური მექანიზმი მოსწავლეთა ადაპტაციისათვის არის სასკოლო აქტივობებში, ღონისძიებებსა თუ პროექტებში მათი ჩართვა. სკოლა ახორციელებს აქტივობებს, პროექტებს, ღონისძიებებს, სადაც რთავს როგორც უმცროსს, ასევე უფროსი ასაკის მოსწავლეებს თემატიკისა და ინტერესების მიხედვით, პროექტები მოსწავლეებს ეხმარება ადაპტაციაში და უჩნდებათ მიკუთვნებულობის გრძნობა სასკოლო ცხოვრებისადმი. ადგილზე მოსწავლეებთან ინტერვიუს პროცესში გაირკვა, რომ მოსწავლეები გრძნობენ მასწავლებელთა მხარდაჭერას, დახმარებას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. მათ აღნიშნეს, რომ მასწავლებლები კონსულტაციის, ინდივიდუალური შეხვედრის, განმავითარებელი შეფასების სახით სწორ მიმართულებას აძლევენ მოსწავლეებს წარმატებისაკენ. სკოლა სასწავლო წლის პირველივე დღიდან ქმნის მოსწავლეთათვის კომფორტულ, კეთილგანწყობილ, მეგობრულ, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ გარემოს. დამრიგებელი ახალ მოსწავლეს და მის მშობელს/ კანონიერ წარმომადგენელს ათვალთვლებს საკლასო გარემოს, აცნობს სასკოლო სასწავლო გეგმას, მოსწავლისა და მშობლის უფლება-მოვალეობებს, სკოლის შინაგანაწესს, კლასის დამრიგებლები ეცნობიან მოსწავლეების პირად საქმეებს, მოსწავლეების მშობლებისაგან გამოითხოვენ შვილების ინფორმაციას მათი ჯანმრთელობის შესახებ, რათა ხელი შეეწყონ მოსწავლეთა ადაპტაციას ახალ სასწავლო გარემოსთან.

მშობლებს აქვთ წვდომა ელექტრონულ ჟურნალთან, სადაც შეუძლიათ გაეცნონ შვილების აკადემიურ მიღწევებს. გარდა ამისა ყოველი თვის ბოლოს წერილობითი ან ზეპირი ფორმით დამრიგებლები აცნობენ მშობლებს შვილების მიღწევებს. მშობელი სასწავლო წლის დაწყებისთანავე ინფორმირებულია სემესტრული შეფასების შესახებ, სკოლა აძლევს მოსწავლეს საშუალებას გადაბარების გზით გაიუმჯობესოს აკადემიური მიღწევები, საჭიროების შემთხვევაში ატარებს ინდივიდუალურ კონსულტაციებს; მოსწავლეს ეძლევა საშუალება გაიუმჯობესოს შეფასება; ინიშნება საკონსულტაციო შეხვედრები, მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად.

მშობლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მათი შვილები იღებენ კვალიფიციურ დახმარებას წარმატების მიღწევისათვის, მუშაობენ მათთან ინდივიდუალურად. მათი შვილები უმაღლეს სასწავლებელში ეწყობიან რეპეტიტორის გარეშე, რაც სკოლის დამსახურებაა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3, სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით



ვიზიტისას დაწესებულების წარმომადგენლებმა (ადმინისტრაცია, მასწავლებლები) აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს სხვადასხვა ტიპის მხარდაჭერას უწევენ მყისიერად ზეპირი მოთხოვნის საფუძველზე. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. ისინი ინფორმირებულები არიან რომ: თუ მათ გააცდინეს ჩატარებული გაკვეთილების 30% და მეტი, ის შეფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე, მოსწავლეს გონივრულ ვადაში ეცნობება გამოცდის თარიღი და წინასწარ მასწავლებელი უტარებს კონსულტაციას. მოსწავლეს შეუძლია სკოლის დირექტორს მიმართოს განცხადებით სემესტრული ქულის ამაღლების მიზნით კანონმდებლობით დადგენილი ვადებისა და პირობების გათვალისწინებით.

ექსპერტთა შეფასებით, სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლა უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების და მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებას. სკოლის მთლიანი თემი აქტიურად არის ჩართული სასკოლო პროექტების განხორციელებაში.

სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, ისინი აანონსებენ საქმიან ინიციატივებს არაფორმალური განათლების კუთხით და უმეტეს შემთხვევაში ინიციატივები რეალურად არის ქცეული. ახორციელებენ პროექტებს, ატარებენ საინფორმაციო სემინარებს, სპორტულ შეჯიბრებებს და სხვა.. განხორციელებული პროექტების დამადასტურებელი მასალა მრავლადაა გამოფენილი საკლასო ოთახებსა და ფოიეში. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა ასეთ საქმიანობაში აქტიურად არიან ჩართული მშობლები და სკოლის პედაგოგები. სკოლის პედაგოგების აბსოლიტური უმრავლესობა არის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, კანონმდებლობის შესაბამისად მოპოვებული აქვთ მასწავლებლობის უფლება და ასევე მათი მიდგომები და სწავლების სტრატეგიები შეესაბამება მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და სკოლის პრიორიტეტებს. მასწავლებლები ყურადღებას აქცევენ არაფორმალურ განათლებას და შესაბამისად შექმნილი აქვთ მოსწავლეთა კლუბები (წრეები) და მათი მუშაობისათვის აუცილებელი დოკუმენტები. არაფორმალური სწავლების პროცესში მოსწავლეთა მიღწეული შედეგები და წარმატებები წახალისებულია სკოლის მიერ სიტყვიერი მადლობით, სიგელებით და საჯაროდ მათი წარმატების აღიარებით. სკოლა ხელს უწყობს და ახალისებს მოსწავლეთა მონაწილეობას სხვადასხვა ტიპის არაფორმალურ აქტივობებში.

მოსწავლეთა თვითმმართველობიდან და მშობელთა მხრიდან წამოსულ წინადადებებს სკოლის ადმინისტრაცია უცხადებს მხარდაჭერას და შესაძლებლობების ფარგლებში ეხმარება კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებაში.

სკოლას შემუშავებული აქვს და დამტკიცებულია ბრძანებით მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი და მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.

ინტერვიუს დროს მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ მათი სამართლიანი მოთხოვნები ყოველთვის დაკმაყოფილებულია. ასე მაგალითად მათ დირექტორის წინაშე დააყენეს საკითხი სპორტული ინვენტარის შესაძენად, რაც გონივრულ ვადაში იქნა შესრულებული, ასევე აღნიშნეს, რომ აქტიურად არიან ჩართული ინგლისური ენის, ეკოკლუბის, ლიტერატურის კლუბის, სპორტის კლუბის მუშაობაში, სადაც გათვალისწინებულია მათი მოთხოვნები, ინტერესები, შესაძლებლობები.

სკოლაში ფუნქციონირებს საზაფხულო ბანაკი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება სახალისო და საინტერესო აქტივობები. ასევე მნიშვნელოვანია რომ პროექტის „კინო სკოლაში“ ფარგლებში მუშაობს რეჟისორ ზაზა ხალვაშის კინოკლუბი, რომელიც საინტერესო აქტივობებს სთავაზობს მოსწავლეებს. ექსპერტთა შეფასებით, სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

ვიზიტის დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სხვადასხვა აქტივობებთან დაკავშირებით მუდმივად ხდება მოსწავლეთა ზეპირი გამოკითხვა, რომლის საფუძველზეც ხდება სამომავლოდ ცვლილებების განხორციელება და მომსახურების დახვეწა. დაწესებულება სოციალური ქსელის საშუალებით მუდმივად ათავსებს ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე თუ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. შესაბამისად, იღებენ მშობლებისა და მოსწავლეებისგან უკუკავშირს.. აქტივობების განხორციელებისას კათედრები და მასწავლებლები ამზადებენ რეფლექსიებს. სასკოლო თემის ინტერესის მიხედვით ხდება მომავალი პროექტების დაგეგმვა. მაგალითად, სკოლაში არსებული სასკოლო კლუბები (ინგლისური ენის სასკოლო კლუბი “Student’s Vision”, ეკო-კლუბი „მოსწავლეების ეკოსამყაროსთვის/ Students for Eco-World“, სპორტის კლუბი „პატარა ჩემპიონები“, სალიტერატურო კლუბი „სამყურა“, ყველა აქ ჩამოთვლილი სასკოლო კლუბი ფუნქციონირებს გეგელძეების საჯარო სკოლაში აჭარის განათლებისა და სპორტის სამინისტროს პროგრამის დაფინანსებით.) უზრუნველყოფენ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებში ჩართულობას და ხელს უწყობენ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას. არაფორმალური განათლების მიმართილებით აქტივობების ჩატარება სკოლაში მიმდინარეობს სათანადო კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების მიერ. სკოლა ყოველთვის მზადაა მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ წარმოდგენილი პროექტის მხარდასაჭერად. მოსწავლეთა და დაინტერესებულ პირთა უკუკავშირის გათვალისწინებით სკოლა ცდილობს მოსწავლეთა მომსახურების კიდევ მეტად სრულყოფას.



ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. 2.არაფორმალური აქტივობების ამსახველი ფოტო მასალა;
3. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
4. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი;
5. ინგლისური ენის კლუბ „Student's Vision“ მასალები;
6. ეკოკლუბ „Students for Eco-World“ მასალები;
7. ლიტერატურული კლუბის მასალები;
8. სპორტის კლუბის მასალები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

სკოლა მიზანმიმართულად და ორგანიზებულად წარმართავს სხვადასხვა დონისძიებას კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით. სკოლაში სისტემატურად აწყობენ შეხვედრებს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის კუთხით, ეს სერვისი ხელმისაწვდომია თითოეული მოსწავლისთვის. მოსწავლეები დაჰყავთ გასვლით ექსკურსიებზე საწარმოებში, სადაც ისინი დეტალურად ეცნობიან სხვადასხვა პროფესიას, ინფორმაციას ღებულობენ



კვალიფიციური კადრებისგან. სკოლაში მეცხრე და მეთორმეტე კლასის დამრიგებლები აწყობენ შეხვედრებს და საუბრებს კარიერული წინსვლისა და პროფესიული ორიენტაციის შესახებ.

სკოლა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის მიზნით ატარებს პროფორიენტაციის გაკვეთილებს. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში პროფესიული უნარების გამომუშავებას, სკოლის შემდგომი განათლების საფეხურზე მოსწავლეების ეფექტურად გადასვლასა და პროფესიული განათლების პოპულარიზაციას. სამომავლოდ სკოლა დაგეგმავს თავისი კურსდამთავრებულების მოწვევას რათა მომავალ თაობას გაუზიარონ გამოცდილება. კლასის დამრიგებლები კლასის საათზე მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციას სხვასდასხვა პროფესიების შესახებ. სკოლამ ხელი შეუწყო ონლაინ ფორმატში მე-12 კლასის მოსწავლეებს არაერთხელ მიეღოთ მონაწილეობა სხვადასხვა სასწავლებლის ღია კარის დღეში და სამომავლო პროფესიაზე გაეკეთებინათ არჩევანი.

მოსწავლეებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ინგლისური ენის კლუბის ფარგლებში განხორციელა პროექტი „მოგზაურობა პროფესიაში“. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა განახორციელეს ვიზიტი აჭარის ტელევიზიაში, სადაც გაეცნენ ჟურნალისტის პროფესიის თავისებურებებს. გასაუბრებისას ერთერთმა მოსწავლემ განაცხადა, რომ მან ამ ვიზიტის შემდეგ, როცა ღრმად გაეცნო ჟურნალისტის საქმიანობას, შეიცვალა თავისი პროფესიული არჩევანი.

2026- 2027 სასწავლო წლისათვის სკოლა გეგმავს სახელოვნებო სივრცის მოწყობას, სადაც მოსწავლეები შეისწავლიან თექაზე მუშაობის ტექნოლოგიას. კაბინეტისათვის საჭირო მასალები, ინვენტარი შეძენილი იქნება აჭარის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

სკოლაში ხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნის დაცვით შეხვედრები და ღონისძიებები კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის კუთხით, რომელიც ხელმისაწვდომია თითოეული მოსწავლისთვის.

სკოლის დირექტორთან, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა ხშირად იწვევს სხვადასხვა სასწავლებლის წარმომადგენლებს, მათთან შეხვედრა ხელს უწყობს მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციას.

კლასის დამრიგებლები კლასის საათზე მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციას სხვასდასხვა პროფესიების შესახებ. სკოლამ ხელი შეუწყო ონლაინ ფორმატში მე-12 კლასის მოსწავლეებს არაერთხელ მიეღოთ მონაწილეობა სხვადასხვა სასწავლებლის ღია კარის დღეში და სამომავლო პროფესიაზე გაეკეთებინათ არჩევანი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია



3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

დაწესებულება კლასის დამრიგებლების მეშვეობით მუდმივად აწვდის კარიერული დაგეგმვის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციას მოსწავლეებსა და მშობლებს. მოსწავლეებს მიეწოდება ინფორმაცია სხვადასხვა ინსტიტუტების ღია კარის დღეებთან დაკავშირებით. ასევე სკოლის მხარდაჭერით მოსწავლეები მონაწილეობენ ონლაინ ფორმატში სხვადასხვა სასწავლებლების ღია კარის დღეში.

ექსპერტთა შეფასებით, სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

სკოლა ზეპირი გამოკითხვით ახდენს გაწეული მომსახურების შეფასებას და შემდეგში მიღებულ ინფორმაციას იყენებს მომსახურების გაუმჯობესებისათვის. მომავალში (2026-2027 სასწავლო წლისთვის) სკოლა გეგმავს მომსახურების შეფასების მექანიზმების ჩამოყალიბებას.

სკოლა რეგულარულად ახორციელებს მოსწავლეთა გამოკითხვას არჩეული პროფესიებისა და სასწავლებლების შესახებ. რეგულარულად აკვირდება კურსდამთავრებულები რამდენად წარმატებით აბარებენ ეროვნულ გამოცდებს, რამდენად აღწევენ დასახულ მიზნებს. სკოლას შეუძლია იამაყოს რომ სკოლის კურსდამთავრებულები არიან საგრანტო დაფინანსებით სტუდენტები და ეწყობიან უმაღლეს სასწავლებელში რეპეტიტორის ინსტიტუტის გარეშე

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მოსწავლეთა უნივერსიტეტში ჩარიცხვის რაოდენობა ბოლო წლებში;
2. ეკოკლუბისა და ინგლისური ენის კლუბის მასალები;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

სკოლას არ ყავს სსსმ მოსწავლე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სკოლას არ ყავს სსსმ მოსწავლე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სკოლას არ აქვს შეთავაზებული დამატებითი არასავალდებულო მომსახურება ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას



სკოლას არ აქვს შეთავაზებული დამატებითი არასავალდებულო მომსახურება

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

სკოლას არ აქვს შეთავაზებული დამატებითი არასავალდებულო მომსახურება

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- ვთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

- შეესაბამება
- მეტწილად შეესაბამება
- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება



ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება <i>(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)</i>
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება



ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება



ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება <i>(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)</i>
<p>სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის კურიკულუმი)</p>	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
<p>კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება</p>	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
<p>კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება</p>	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
<p>კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება</p>	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
<p>კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია</p>	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება



II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას. იგი მოიცავს კურიკულუმის ძირითად კომპონენტებს, განვითარების პრინციპებსა და ეტაპებს, ასევე დაგეგმვის, დანერგვის, შეფასებისა და განახლების პროცესს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესებს, რისთვისაც სკოლა იყენებს არსებული გამოცდილებებისა და საზოგადოების უკუკავშირის ანალიზს. შედეგად, კურიკულუმის შექმნა ხდება ინკლუზიური და საჭიროებებზე მორგებული პროცესით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სკოლის საქმიანობიდან და პედაგოგებთან საუბრისას აშკარად იკვეთება, რომ სკოლა მნიშვნელობას ანიჭებს სასკოლო საზოგადოების ინტერესების განსაზღვრასა და მათ კურიკულუმში ასახვას. ამ მიზნისთვის გამოიყენება როგორც სასწავლო პროცესთან დაკავშირებული უკუკავშირი, გაკვეთილების ანალიზი და კოლეგების რეკომენდაციები, ასევე მშობლებისა და მოსწავლეების ჩართულობა სხვადასხვა აქტივობებში. კათედრებზე მიმდინარე თანამშრომლობა, წლიური სამუშაო გეგმების შემუშავება და პრიორიტეტების გამოკვეთა უზრუნველყოფს კურიკულუმის მიზნობრივობას. გარდა ამისა, სკოლა ხელს უწყობს



მოსწავლეთა ინტერესების გამოხატვას კულტურულ, სპორტულ და საზოგადოებრივ ღონისძიებებში, რაც კიდევ უფრო აძლიერებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას და ამდიდრებს სასწავლო გარემოს.

საგნობრივი კურიკულუმი დგება მასწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობით, მათი საჭიროებებისა და ინტერესების, ასევე ასაკობრივი დონისა და აკადემიური უნარების გათვალისწინებით. სკოლაში დანერგულია სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის მექანიზმი, რომლის საშალებითაც ხდება მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლისა და მასწავლებლის ინტერესების დადგენა, რაც აისახება საგნობრივ კურიკულუმში. დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია პრობლემებზე დაფუძნებული დავალებები. სწავლის პროცესში უპირატესობა ენიჭება კომპიუტერული ტექნოლოგიის აქტიურ გამოყენებას, რომელიც ეხმარება მასწავლებლებს თანამედროვე სწავლების პროცესის წარმართვაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას, რაც გამოიხატება კლასის დამრიგებლების, მშობლებისა და მოსწავლეების აქტიურ ჩართულობაში. კლასის დამრიგებლები აცნობენ მშობლებსა და მოსწავლეებს სასკოლო კურიკულუმის სიახლეების შესახებ, რომელშიც გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კურიკულუმის საბოლოო ვერსიას განვიხილავთ სკოლის ადმინისტრაციასთან და მშობლებთან. კურიკულუმის მთავარი მიზანია მოსწავლეებში სწავლების სურვილის გაღრმავება და ღირებული ცოდნის გადაცემა. შესაბამისად, ის შედგენილია მოსწავლეებისთვის საჭირო აქტივობებითა და თემებით. სკოლის თითოეული საგნობრივი კურიკულუმი ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისაკენ. რატემაუნდა, სკოლა ჩართულია კურიკულუმის განვითარების აქტიურ პროცესში. ვიზიტისას მიღებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ სკოლაში კურიკულუმის შემუშავება კოლაბორაციულ და ინკლუზიურ პროცესად არის ჩამოყალიბებული. პროცესში აქტიურად ერთვებიან საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური და სამეურვეო საბჭო, ასევე დირექცია. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, აანალიზებენ გაკვეთილებსა და მოსწავლეთა შედეგებს, იყენებენ მიღებულ უკუკავშირს და ამის საფუძველზე ავითარებენ საგნობრივ წინადადებებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა ;
2. საგნობრივი კურიკულუმები
3. სკოლის შინაგანაწესი ;
4. პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
5. მშობელთა კრების სხდომის ოქმი;
6. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
7. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
8. კათედრის ოქმები;
9. სამეურვეო საბჭოს ოქმი;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას, საგნობრივი კურიკულუმები შედგება აუცილებელი სტრუქტურული
--------------------------------	--



	<p>ერთეულებისაგან. კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალებები იდეების სახით ასახულია სავალდებულო თემებში.</p> <p>რჩევა (დაწყებითი საფეხური)</p> <p>სასურველია, ყველა საგნობრივ ჩარჩოში იყოს მითითებული სასწავლო წელი, საგნის მასწავლებელი, საათობრივი განაწილება თემების მიხედვით. მე-3 და მე-4 კლასის თემატურ ჩარჩოებში მითითებული საკითხები დააჯგუფეთ სავალდებულო თემებად, თემაში მოცემულ საკითხებს მიუჩინეთ ადგილი საკითხების გრაფაში, ასევე დააზუსტეთ კონტექსტ-მაგალითები და დაუკავშირეთ თემებს/მთავარ საკითხებს, დავალების იდეაში - მკაფიოდ გამოჩნდეს კონკრეტული პროდუქტი (მე-3, მე-4 კლასები), გაასწორეთ ტექნიკური შეცდომები: მე-4 კლასში კონტექსტ-მაგალითში მითითებული ვიდეორესურსთან ჩასვით შესაბამისი ბმული, ყველა მითითებული ელექტრონული ბმული გადაამოწმეთ რამდენად აქტიურია (მაგ. მე-2 კლასი).</p> <p>სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოების ქვეშ მითითებული იყოს კომპლექსური/შემოქმედებითი დავალება დეტალური სახით, რომლის განხორციელებასაც გეგმავს მასწავლებელი, დავალების პირობას თან დაერთოს შეფასების კრიტერიუმები გრძელვადიან შედეგებთან მიმართებით.</p> <p>რჩევა (საბაზო და საშუალო საფეხური)</p> <p>სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოების ქვეშ მითითებული იყოს კომპლექსური/შემოქმედებითი დავალება დეტალური სახით, რომლის განხორციელებასაც გეგმავს მასწავლებელი, დავალების პირობას თან დაერთოს შეფასების კრიტერიუმები გრძელვადიან შედეგებთან მიმართებით.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>საზოგადოებრივი მეცნიერებები</p>	<p>როგორც წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ჩანს, სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე, რადგან გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები. მასწავლებლების მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები, სამივე საფეხურზე, წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის გზას. საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ტრანსფერს, საზოგადოებრივი უნარების განვითარებას, ცოდნის გამთლიანებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას კომპლექსური ხასიათის პროდუქტის შექმნისას.</p>



	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
უცხოური ენები	<p>რჩევა: .სასურველია, სავალდებულო თემებთან გაიწეროს საათების რაოდენობა; საგნობრივი კურიკულუმების შედგენის დროს, ყველა თემაში სრულად დაიფაროს სამიზნე ცნებები. კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი თემების ფარგლებში დასამუშავებელი ტექსტები, შემოქმედებითი დავალებები, ძირითადი და დამატებითი რესურსები – მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებითაა შერჩეული.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
ესთეტიკური აღზრდა	<p>სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კურიკულუმებში ასახულია აქტუალური, ნაცნობი თემები, კონტექსტ მაგალითები და რესურსები. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრების დან გამოდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა დაგეგმონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.</p> <p>რჩევა- გააგრძელონ მუშაობა კურიკულუმზე და სამომავლოდ გაამდიდრონ ის სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებებით. ეს ხელს უწყობს როგორც მოსწავლეების მოტივაციის გაზრდას, ისე მათი მიღწევების შეფასებას.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
სახელმწიფო ენა	<p>სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაწავლისა და კათედრის წევრებთან გასაუბრების შეჯამების საფუძველზე, სასკოლო კურიკულუმში გათვალისწინებულია მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის მიდგომები და განვითარების ეტაპები. სკოლას დოკუმენტურად შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელსაც საგნობრივი პედაგოგები იყენებენ სასწავლო წლის დაგეგმვისას. როგორც სახელმწიფო ენის პედაგოგებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, კურიკულუმის</p>



	<p>დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული აქვთ გასული აკადემიური წლის შედეგების ანალიზი, მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, სწავლების სუსტი და ძლიერ მხარეები, რათა ახალი სასწავლო წლის პროცესი დაიგეგმოს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. სახელმწიფო ენის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, ეს გამოჩნდა კურიკულუმში ჩაშენებულ დავალებებში, რომლებიც კათედრამ შეარჩია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული ტექსტები ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია კომპლექსური ბუნების დავალებების სახით.</p> <p>რჩევა: სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი შემოქმედებითი ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. კურიკულუმების შემდგომი განვითარების მიზნით აუცილებელია გასწორდეს ტექნიკური შეცდომები, მეტი ყურადღება მიექცეს ინფორმაციების სათანადო გრაფებში განთავსებას, ზოგიერთ შემთხვევაში შინაარსობრივად დაიხვეწოს დავალების იდეა. ყურადღება მიექცეს საგნობრივი კურიკულუმების როგორც შინაარსობრივ, ასევე ტექნიკურ და ვიზუალურ მხარეს, შემუშავდეს კურიკულუმის ერთიანი ჩარჩო.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>მათემატიკა</p>	<p>წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნა, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>



<p>სპორტი</p>	<p>სკოლის კურიკულუმი შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. გათვალისწინებულია საგნობრივი სტანდარტები და მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები.</p> <p>წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილ შემოქმედებით ტიპის დავალებებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე.</p> <p>რჩევა:</p> <ol style="list-style-type: none"> 1.სასურველია, დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესში ყველა კლასში გათვალისწინებული იყოს ტანვარჯიშის სწავლება. 2.სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებს დაემატოს თემა „ოლიმპიზმი“, სადაც მუშავდება ერთი სამიზნე ცნება (ჯანსაღი ცხოვრების წესი) და შეძლებისდაგვარად, სრულად შეისწავლონ ოლიმპიზმის განვითარების ისტორია (ანტიკური და თანამედროვე ოლიმპიადები; საქართველო ოლიმპიადებზე; ქართველი ოლიმპიელები; ზამთრის ოლიმპიადა; პარა ოლიმპიადა; ოლიმპიური სიმბოლოები და ა.შ). <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>ტექნოლოგიები</p>	<p>კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო (II–VI კლასი) მიზნად ისახავს მე-3 თაობის ესგ-ს სტანდარტების განხორციელებას და მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის განვითარებას. კურიკულუმი ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე და შუალედურ მიზნებად მოიცავს სამიზნე ცნებებსა და კომპლექსური დავალებების იდეებს, რომლებიც ეფუძნება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს ცოდნის ტრანსფერს, უნარების განვითარებასა და გამთლიანებულ სწავლებას.</p> <p>ინტერვიუსას მასწავლებელმა გამოხატა კომპლექსური დავალებების მნიშვნელობა და გააზრებული აქვს ცნებებს შორის კავშირები, საგნის ძირითადი მიზნები და სარეკომენდაციო რესურსების გამოყენება. იგი აქტიურად ნერგავს კომპლექსურ/შემოქმედებით დავალებებს, აანალიზებს გამოწვევებს და აფასებს მიღებულ შედეგებს. ურიკულუმის ჩარჩო მოიცავს კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, ინფორმაციულ და</p>



	<p>ციფრულ წიგნიერებას და სამიზნე ცნებების სრულ სპექტრს. რესურსების შერჩევა ემყარება გრძელვადიან მიზნებს, ხოლო სწავლება — მოსწავლის მოტივაციასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას. კურიკულუმი ორიენტირებულია გრძელვადიან შედეგებზე, რომლებიც განისაზღვრება საფეხურის დონეზე. შუალედური მიზნები და შინაარსი იქმნება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესებისა და წინარე ცოდნის გათვალისწინებით. მიზნები მუშავდება სამგანზომილებიანი მიდგომით, რომელიც აერთიანებს ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს, ხოლო კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებები ხელს უწყობს შემოქმედებითი და ლოგიკურ-ალგორითმული უნარების განვითარებას.</p> <p>რჩევა: სასურველია ყველა კლასში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური</p>	<p>კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და სკოლის მისიას. გათვალისწინებულია დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, მათი საჭიროებები და ინტერესები.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

<p>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</p>	<p>დაწყებითი და საბაზო-საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მიმართულების კურიკულუმებში ასახულია გრძელვადიანი და შუალედური მიზნები.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>საზოგადოებრივი მეცნიერებები</p>	<p>შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული-სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს. გაწერილია სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. მასწავლებლებთან ინტერვიუზე და სკოლის მიერ დამატებით გადმოგზავნილი დოკუმენტაციაზე დაყრდნობით</p>



	<p>ირკვევა, რომ სასწავლო პროცესში დიდია გლობალურ ფუნქციური უნარების როლი, რომელთა დამუშავებაც ხდება კომპლექსური ხასიათის დავალებების კეთებისა და პროექტების განხორციელების პროცესში.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>უცხოური ენები</p>	<p>შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. თითოეულ თემაში შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებები უზრუნველყოფს მიზნის შესაბამისი საკითხების სიღრმისეულად დამუშავებას .</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>ესთეტიკური აღზრდა</p>	<p>კურიკულუმი ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია თემები, სამიზნე ცნებები, დასამუშავებელი საკითხები, კონტექსტ მაგალითები. დავალებები და აქტივობები იმგვარადაა შერჩეული, რომ ხელს უწყობს ინფორმაციის გააზრებას პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით და ეხმარება მოსწავლეებს მიღებული ცოდნის გამოყენებაში. გასაუბრებისას გამოიკვეთა , რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>სახელმწიფო ენა</p>	<p>კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან მასში არის გათვალისწინებული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილებები. კურიკულუმში წარმოდგენილ დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების</p>



	<p>მიღწევას, კერძოდ, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, სოციალური უნარების განვითარებას და ა.შ. კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებში გაწერილია სამიზნე ცნებები და შედეგები. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები. თუმცა, რიგ შემთხვევებში იკვეთება მცირე უზუსტობებიც. ამის მიუხედავად, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ესგ -ის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ყველა სამიზნე ცნება და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, რომლებსაც გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წელს კურიკულუმების შემუშავებისას.</p> <p>რჩევა: სასურველია, კათედრამ კურიკულუმისთვის შეიმუშაოს ერთიანი ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თითოეული სვეტის დანიშნულება, სწორად აისახოს ესგ-ს შესაბამისად გაწერილი სავალდებულო თემები, სტანდარტის შედეგები და დავალების იდეა.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>მათემატიკა</p>	<p>წარმოდგენილ კურიკულუმებში თემები, საკითხები, , რესურსები იძლევა შესაძლებლობას პროცესი იყოს ორიენტირებული ფუნქციურ კომპონენტურ უნარებზე. კურიკულუმი მიემართება ესგ-ით განსაზღვრულ მიზნებს.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>სპორტი</p>	<p>სკოლის კურიკულუმი მიზნობრივად არის ორიენტირებული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ზოგადი და საგნობრივი მიზნების მიღწევაზე.</p> <p>კურიკულუმის ჩარჩოში ნათლად არის ასახული სტანდარტის საფეხურებრივი შედეგები, სამიზნე ცნება/ცნებები, განხორციელების პროცესში გაწერილია თემებთან შესაბამისი სპორტული ინვენტარი და სასწავლო ელექტრონული რესურსები. შემოქმედებითი ტიპის დავალებები შესაძლებლობას იძლევა მოსწავლის მაქსიმალურ ჩართვას სასწავლო პროცესში,</p>



	<p>რჩევა: დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში, სასურველია თემების შესწავლისთვის განსაზღვრული სავარაუდო საათობრივი ჯამი თანხვედრაში მოვიდეს აღნიშნული საფეხურის წლიურ საათობრივ ბადესთან.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>ტექნოლოგიები</p>	<p>კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს ანალიზმა აჩვენა, რომ მასწავლებელს გააზრებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმის საკითხების ურთიერთმიმართება და საგნის მიზანი. კომპლექსური დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს; აღსანიშნავია ორიგინალური, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული დავალებები. ასევე, ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებით ხორციელდება პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები და ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას.</p> <p>ინტერვიუში მასწავლებელმა აღწერა კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი და ეტაპები. კომპლექსური დავალებების დაგეგმვისას იგი ითვალისწინებს სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს, ხოლო შეფასების კრიტერიუმებიც მათთან კორელაციაშია.</p> <p>კურიკულუმისა და ინტერვიუს ანალიზი აჩვენებს, რომ პედაგოგს გააზრებული აქვს კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებების როლი — ისინი ხელს უწყობს კრიტიკულ აზროვნებას, შემოქმედებით მიდგომას, თანამშრომლობას, დამოუკიდებელი მსწავლის როლის ჩამოყალიბებას, რეფლექსიასა და მეტაკოგნიტური სტრატეგიების განვითარებას.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური</p>	<p>კურიკულუმები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. მიემართება გრძელვადიან მიზნებს; სტანდარტით გათვალისწინებული თემების ფარგლებში მუშავდება შუალედური მიზნები.</p> <p>რჩევა: სასურველია, კათედრამ კურიკულუმისთვის შეიმუშაოს ერთიანი ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თითოეული სვეტის დანიშნულება;</p>



	<p>სწორად აისახოს ესგ-ს შესაბამისად გაწერილი სავალდებულო თემები, სტანდარტის შედეგები და დავალების იდეა.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
--	---

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

<p>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</p>	<p>საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია რესურსები, რომელთა გამოყენებითაც მიიღწევა სასწავლო შედეგები.</p> <p>რჩევა:</p> <p>დაწყებითი საფეხური - ხშირ შემთხვევაში კურიკულუმში ასახული რესურსები მოიცავს რეკომენდირებულ საყოველთაო სახის რესურსებს, არ ჩანს კონკრეტული სკოლის, კათედრის, მასწავლებლის მიერ ორგანიზებული რესურსები, სასურველია, რესურსები გამრავალფეროვნდეს, განსაკუთრებით დაწყებითი საფეხურისათვის. ამისათვის, შესაძლოა, გამოყენებული იქნას მასწავლებლის ან მოსწავლეების მიერ შექმნილი სასწავლო რესურსები შესაბამისი ვალიდაციის შემდეგ.</p> <p>რჩევა (საბაზო/საშუალო საფეხური)</p> <p>ლაბორატორიით აღჭურვამდე, მარტივი ექსპერიმენტებისათვის საჭირო ყველა რესურსი (პლასტიკატის ჭურჭელი, წყალი, საკვები რეაგენტები და სხვა) აისახოს კურიკულუმში ან მატრიცებში. მოსწავლის მიერ შექმნილი პოსტერები (წარმოდგენილი სკოლის მიერ), არაფორმალური განათლების პროექტის ფარგლებში შექმნილი პრეზენტაციები (2025 წელი "ცილები ჩვენს გარშემო", გრძნობათა ორგანოები, დედამიწის კვირეული, ეკოკლუბი - მოსწავლეები ეკოსამყაროსათვის "Students for Eco-World" შექმნილი გარემოსდაცვითი მასალები, რაც წარმოდგენილია სკოლის სოციალურ გვერდზე და არსებობს სასკოლო სივრცეში ინტეგრირებული პროექტის სახით, შეიძლება აქციოს სასწავლო რესურსებად და ასახოს კურიკულუმში. ასევე, სასურველია, მე-9, მე-11 და მე-12 კლასის ბიოლოგიის კურსს დაუკავშიროთ გასვლითი გაკვეთილები</p>
---------------------------------------	---



	<p>ადგილობრივი ბიომრავალფეროვნების შესწავლის მიზნით ან შექმნათ სკოლის ორიგინალური რესურსები ბუნებისმეტყველების მიმართულებით.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>საზოგადოებრივი მეცნიერებები</p>	<p>კურიკულუმებში წარმოდგენილია სახელმძღვანელოს გარდა სხვა მრავალფეროვანი, მოსწავლეზე მორგებული სასწავლო მასალა და ელექტრონული რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</p>
<p>უცხოური ენები</p>	<p>კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები, გრიფინიჭებული სახელმძღვანელოები, დამატებითი ელექტრონული რესურსები, მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებითაა შერჩეული და უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</p>
<p>ესთეტიკური აღზრდა</p>	<p>სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მრავალფეროვანი რესურსები, როგორცაა გრიფინიჭებული სახელმძღვანელოები, ციფრული თუ მატერიალური რესურსები ასევე ვიდეო თუ აუდიო მასალა, სხვადასხვა ელექტრონული რესურსები, რომლებიც უფრო საინტერესო და მრავალფეროვანს და მიმზიდველს ხდის სასწავლო პროცესს, რაც განაპირობებს სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვას.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>სახელმწიფო ენა</p>	<p>კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსების ანალიზის მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: კურიკულუმი მოიცავს როგორც სახელმძღვანელოს, ასევე, დამატებით ტექსტებს, აუდიო-ვიზუალურ მასალებს,</p>



	<p>ელექტრონულ რესურსებს, ანიმაციებს, დოკუმენტურ და მხატვრულ ფილმებს. ყველა რესურსი უკავშირდება სამიზნე ცნებებს და შედეგებს.</p> <p>რჩევა: სასურველია სამომავლოდ კურიკულუმის უფრო მეტად გამრავალფეროვნება საგანმანათლებლო რესურსებით, (საგანმანათლებლო რესურსების ბმულები, მასწავლებლების ან მოსწავლეების მომზადებული მოდიფიცირებული რესურსები და სხვ.), ამასთანავე სასურველია, უკვე არსებული რესურსები კურიკულუმებში აისახოს ბმულების სახით.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
მათემატიკა	<p>წარმოდგენილი კურიკულუმებით გათვალისწინებულია საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
სპორტი	<p>სკოლის კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა, კურიკულუმში ასახულ თემებთან გაწერილი შესაბამისი სპორტული ინვენტარი, შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და ემსახურება კურიკულუმში ასახული თემებში სწავლის შედეგების მიღწევას.</p> <p>რჩევა: სასურველია, სკოლის სპორტულ ინვენტარს შემდგომში დაემატოს ტანვარჯიშის ლეიბი, ამ თემის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში ასახვისა და სათანადოდ განხორციელების მიზნით.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
ტექნოლოგიები	<p>კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>



<p>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური</p>	<p>კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ასევე-დამატებითი რესურსები, ინტერნეტ-პლატფორმები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.</p> <p>რჩევა: სასურველია, სამომავლოდ, უფრო მეტი მატერიალური და ელექტრონული რესურსით გამდიდრდეს კურიკულუმები.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
---	--

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

<p>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</p>	<p>სკოლაში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს, სწავლებისას მასწავლებლები იაზრებენ დიფერენცირებული სწავლების მნიშვნელობას. სკოლის მცირე კონტიგენტი უზრუნველყოფს ინკლუზიის ხარისხს და დიფერენცირებულ მიდგომებს.</p> <p>რჩევა:</p> <p>დაწყებითი საფეხური: დიფერენცირებისათვის შესაძლებელია, მოსწავლეებს შემაჯამებელ სამუშაოზეც შესთავაზოთ დავალების განსხვავებული ვარიანტები. სასურველია, მე-6 კლასის მოსწავლეებს შემაჯამებელ დავალებაზე უფრო რთული კითხვებიც შევთავაზოთ, მოვხსნათ არჩევითბოლოიანი ტესტური დავალებები და გავზარდოთ შემოქმედებითი დავალებები.</p> <p>სასურველია საგნობრივ კურიკულუმში გამოკვეთოთ მასწავლებლის მიერ შერჩეული, მოდიფიცირებული ან ხელახლა შექმნილი ძირითადი და ალტერნატიული აქტივობები, რაც საგნობრივ კურიკულუმს გახდის უფრო ღირებულს, მოქნილსა და მრავალფეროვანს.</p> <p>საბაზო/საშუალო საფეხური</p>
---------------------------------------	---



	<p>სასურველია საგნობრივ კურიკულუმში გამოკვეთოთ მასწავლებლის მიერ შერჩეული, მოდიფიცირებული ან ხელახლა შექმნილი ძირითადი და ალტერნატიული აქტივობები, რაც საგნობრივ კურიკულუმს გახდის უფრო ღირებულს, მოქნილსა და მრავალფეროვანს.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>საზოგადოებრივი მეცნიერებები</p>	<p>ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვეთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში არ ჰყავთ სსსმ მოსწავლე, მასწავლებლები სწავლა/სწავლების პროცესში ყველა მოსწავლეს სთავაზობენ მისი სწავლის სტილიდან გამომდინარე შესაბამის დავალებებს. ამას ისინი ახერხებენ კომპლექსური ხასიათის დავალებების საჭიროებისამებრ მოდიფიცირებისა და „სასწავლო მენიუს“ პრაქტიკაში აქტიური გამოყებით.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</p>
<p>უცხოური ენები</p>	<p>როგორც წარმოდგენილი მასალების გაცნობის, ასევე პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა რომ პედაგოგებს აქვთ მზაობა ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომების დანერგვისა და გამოყენებისა სასწავლო პროცესში.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</p>
<p>ესთეტიკური აღზრდა</p>	<p>სკოლა ითვალისწინებს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ მიდგომებს, ქმნის ინკლუზიურ გარემოს. ამის დასტურია წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები/აქტივობები, რესურსები, რომლებიც მორგებულია მოსწავლეზე და იწვევს მათ დაინტერესებას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საშუალებას აძლევენ მოსწავლეებს საკუთარი ინტერესებიდან, მზაობიდან გამომდინარე აარჩიონ დავალება, საჭიროების შემთხვევაში ახდენენ სასწავლო შინაარსისა და დავალებების ადაპტირებას.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>



სახელმწიფო ენა	<p>სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი. განსხვავებული შინაარსის კომპლექსური დავალებები, მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები, სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნან მოსწავლეებმა კომპლექსური დავალებების ფარგლებში, ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინკლუზიური გარემოს შექმნის მიზნით პედაგოგები ახდენენ კომპლექსური დავალების პირობის მოდიფიცირებას. მოსწავლეებს აძლევენ საშუალებას თავად აირჩიონ შესასრულებელი პროდუქტებიდან მათთვის სასურველი და მასზე იმუშაონ.</p> <p>რჩევა: კურიკულუმი ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული მიდგომების ელემენტებს შეიცავს, თუმცა ეფექტურობის გაზრდისთვის სასურველია კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს ინდივიდუალური მიდგომის სტრატეგიები</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
მათემატიკა	<p>წარმოდგენილი დოკუმენტაციით სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
სპორტი	<p>საგაკვეთილო პროცესში გამოყენებულია დიფერენცირებული სწავლების ფორმები, სწავლების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და ინტერესები.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
ტექნოლოგიები	<p>საგან „კომპიუტერული ტექნოლოგიების“ კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი, მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსი, მასალა და ელ.</p>



	<p>რესურსები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივ კონსტრუირებას.</p> <p>ინტერვიუში პედაგოგმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით ცვლიან აქტივობებს, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მრავალფეროვან რესურსებს. ის აძლევს მოსწავლეებს შესაძლებლობას, გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა და დამოკიდებულება მისთვის ეფექტური გზებით. შეფასება განიხილება, როგორც საშუალება სწავლის გაუმჯობესებისთვის. სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური გეგმა, შეფასების რუბრიკები და თვითრეფლექსიის დოკუმენტები, სადაც ჩანს მოსწავლეთა ინტერესების და თავისებურებების გათვალისწინება.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური</p>	<p>პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინკლუზიურ მიდგომებს.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

<p>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</p>	<p>სკოლის შეფასების სისტემა ძირითადად ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.</p> <p>რჩევა(თ) დაწყებითი საფეხური)</p> <p>წარმოდგენილი შეფასების სქემები ზოგადი ხასიათისაა, ასახავს მეთოდურ ორიენტირებს, მოსწავლის ჰოლისტურ შეფასებას, მათ შორის ფუნციურ-კომპონენტური უნარების წილს. სასურველია, მეტი კონკრეტულობა, მაგ; თემის/საკითხის ფარგალში დააზუსტეთ გრძელვადიანი მიზნები(საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები) , უფრო მეტად გამოკვეთეთ სამიზნე ცნებების მიღწევის დონეები მოცემული საკითხის მიხედვით, ასევე, სასურველია, კათედრაზე შეჯერდეთ მიღწევის დონეების მსგავს აღწერილობაზე.</p> <p>რჩევა: (საბაზო/საშუალო საფეხური)</p>
---------------------------------------	---



	<p>სჯობს, შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან შედეგებს, საფეხურის შედეგებს ან სამიზნე ცნებებს, რათა გაიზომოს ესგ მიღწევის შედეგები. არსეული შეფასების სქემებში აისახოს კონკრეტული თემა და გრძელვადიანი მიზანი. შემაჯამებელ საუშაოებში სჯობს, საერთოდ ამოვიღოთ არჩევითბოლოიანი დავალებები, მეტი წილი მიენიჭოს ღია კითხვებს მაღალი სააზროვნო უნარების შემოწმების მიზნით.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>საზოგადოებრივი მეცნიერებები</p>	<p>განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით სწავლის შედეგების აღწერა საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით მიმდინარეობს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრაზე გააზრებული აქვს ამ ტიპის შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. ამ მიმართულებით კათედრები სამუშაო შეხვედრებზე განიხილავენ შეფასების მოქმედ რუბრიკებს, კომპლექსური დავალებების განხორციელების შემდეგ ანალიზებენ სასწავლო პროცესში, გამოყენებულ შეფასების სქემებს და მუდმივად ცვლიან და ნერგავენ ახალ ინსტრუმენტებს. სკოლაში არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად იყენებენ შემაჯამებელი წერების ანალიზებს, ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აწვდიან უკუკავშირს, რათა არ აცდნენ ეროვნული-სასწავლო გეგმის ძირითად მოთხოვნებს.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>უცხოური ენები</p>	<p>შეფასების კრიტერიუმები ეყრდნობა არამარტო მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ინდიკატორებს, არამედ კონკრეტულ დავალებებზეა მორგებული.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>ესთეტიკური აღზრდა</p>	<p>სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა, სადაც გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები. ასევე გვხვდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ზოგად წარმოდგენებს ქმნის საფეხურის ფარგლებში შეფასების აღნიშნული ტიპის წარმოების წესზე. სკოლას აქვს შესაბამისი გამოცდილება და მზაობა, რომ შეფასება მიემართებოდეს გრძელვადიანი მიზნებისაკენ.</p>



	<p>რჩევა: სასურველია სკოლამ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ხელოვნებასა და მუსიკაში დაწყებით საფეხურზე გაწერონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, თემებთან და ცნებებთან მიმართებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</p>
<p>სახელმწიფო ენა</p>	<p>შეფასების რუბრიკები შემუშავებულია სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის სავალდებულო მინიმუმი, წარმოდგენილია რამდენიმე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. სკოლას აქვს მზაობა, რომ შეფასება მიემართებოდეს გრძელვადიანი მიზნებს. სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, როგორცაა დავალების, პრეზენტაციის, დისკუსიის და ა.შ. სხვადასხვა აქტივობის შეფასება.</p> <p>რჩევა (დაწყებითი საფეხური): სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს კურიკულუმში გაწერილ დავალებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.</p> <p>რჩევა (საბაზო/საშუალო საფეხური):</p> <p>სასურველია, შეიქმნას რუბრიკები ან შეფასების კრიტერიუმები თითოეული კომპლექსური დავალებისთვის, რომლებშიც ნათლად იქნება გაწერილი, რა დონეზეა მიღწეული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. ეს დაეხმარება მოსწავლეებს, გააცნობიერონ, კონკრეტულად რა კომპონენტებში სჭირდებათ გაუმჯობესება. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება უნდა ეყრდნობოდეს სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევის ინდიკატორებს და მიემართებოდეს როგორც შუალედურ, ასევე გრძელვადიან მიზნებს. სასურველია, სკოლამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შედგენისას იხელმძღვანელოს სამივე საფეხურის სტანდარტში მითითებული ინდიკატორებით, შეარჩიოს სამიზნე ცნების</p>



	<p>მკვიდრი წარმოდგენებისთვის ყველაზე ადეკვატური ერთი ან რამდენიმე ინდიკატორი და დააკონკრეტოს დავალების პირობის გათვალისწინებით.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>მათემატიკა</p>	<p>ატვირთულ დოკუმენტაციაში მოცემული შეფასების სისტემა შეესაბამება ესგ-ით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებს და ამოცანებს. დასკვნის სახით აღნიშნავ, რომ სკოლას აქვს მზაობა შექმნას განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>სპორტი</p>	<p>კურიკულუმებში გაწერილი თემებთან და დაგეგმილი შუალედურ მიზნებთან დართული შეფასების რუბრიკები გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული, საგაკვეთილო პროცესში პედაგოგი აქტიურად იყენებს სიტყვიერ კომენტარებს და უკუკავშირის ეფექტიან მიწოდებას. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური თვისებების და ორგანიზებულობის, თვითკონტროლის განვითარებაზე. სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, როგორცაა დავალების, პრეზენტაციის, დისკუსიის და ა.შ. სხვადასხვა აქტივობის შეფასება.</p> <p>რჩევა: სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს კურიკულუმში გაწერილ დავალებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>ტექნოლოგიები</p>	<p>კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელმა წარადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. იგი იყენებს შეფასების ინსტრუმენტებს/რუბრიკებს, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს.</p> <p>ინტერვიუსა და გადმოგზავნილი დოკუმენტაციის (შეფასების რუბრიკები) ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელს</p>



	<p>გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. შეფასების დიზაინი, რომელსაც იგი იყენებს განმავითარებელი შეფასებისას, ქმნის მნიშვნელოვან პლატფორმას მოსწავლის მრავალმხრივი გაცნობისა და შესწავლისთვის.</p> <p>განმსაზღვრელი შეფასება კი წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან/კრიტერიუმებთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით. შეფასების ეს ფორმა მართულია მასწავლებლის მიერ და ძირითადად ხორციელდება როგორც პროცესის შემაჯამებელი - თემის, თავის, სემესტრის ან საკითხის დასრულებისას.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური</p>	<p>სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, როგორცაა დავალების, პრეზენტაციის, დისკუსიის და ა.შ. სხვადასხვა აქტივობის შეფასება.</p> <p>რჩევა: სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს კურიკულუმში გაწერილ დავალებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 1.სასკოლო სასწავლო გეგმა;
 - 2.საგნობრივი კურიკულუმები;
 - 3.სკოლის შინაგანაწესი;
 4. პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
 - 5.მშობელთა კრების ოქმი;
 - 6.განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
 7. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
 8. განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა;
- შეფასება:

შეფასება:

- ვთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება



2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

<p>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</p>	<p>სასწავლო პროცესი ითვალისწინებს კურიკულუმით დაგეგმილ აქტივობებს. მოსწავლის შესრულებული ნამუშევრების ნიმუშები ასახავს კურიკულუმით დაგეგმილი შუალედური მიზნის მიღწევის საშუალებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>საზოგადოებრივი მეცნიერებები</p>	<p>დაგეგმილი კურიკულუმის განხორციელება და კომპლექსური ხასიათის დავალებებზე მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას შემოქმედებით პროცესში. სკოლის მიერ გამოგზავნილი დამატებითი მასალა, მოსწავლეთა ნამუშევრები გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ მაქსიმალურადაა გათვალისწინებული მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებები და აქტიურ შემოქმედებით პროცესებში მათი ჩართვის აუცილებლობა. კომპლექსური დავალებების შესრულება მოსწავლეს საშუალებას აძლევს ერთდროულად განივითაროს სხვადასხვა სააზროვნო უნარი, დამოუკიდებლად განახორციელოს სხვადასხვა აქტივობა, დააკვირდეს მუშაობის პროცესსა და გააანალიზოს შედეგები. პედაგოგებმა დაასახელეს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის რამდენიმე მაგალითი, რა დროსაც მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ სასწავლო პროცესში. აღნიშნული დავალებები ჩაშენებული აქვთ მათ საგნობრივ კურიკულუმებში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</p>



<p>უცხოური ენები</p>	<p>სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობების, რესურსების, შემოქმედებითი დავალებების მოდიფიცირება, გამრავალფეროვნება ან ადაპტირება. პედაგოგები ახორციელებენ ძალიან ბევრ როგორც შიდა სასკოლო , ასევე საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტს, როგორც ინდივიდუალურად, ასევე სხვა კათედრებთან ინტეგრირებულად.</p> <p><u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u></p>
<p>ესთეტიკური აღზრდა</p>	<p>კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლეებზე. წარმოდგენილი დავალებები, მოსწავლეთა ნამუშევრები, თუ ის განხორციელებული პროექტები, რომლებზეც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, ნამდვილად გვაძლევს იმის დასკვნის საშუალებას, რომ რომ სასწავლო პროცესი სკოლაში დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.</p> <p>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</p>
<p>სახელმწიფო ენა</p>	<p>სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარით, წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს.</p> <p>რჩევა (დაწყებითი საფეხური): სასურველია, კურიკულუმში გაიწეროს იმდენი დავალება, რამდენსაც რეალურად განახორციელებენ.</p>



	<p>რჩევა (საბაზო/საშუალო საფეხური): კურიკულუმებში წარმოდგენილია დავალების იდეები, თუმცა არ არის დეტალურად აღწერილი შეფასების კრიტერიუმები ან მეთოდები. შეფასების რუბრიკების ან კონკრეტული შეფასების ინსტრუმენტების დამატება გააუმჯობესებს სასწავლო პროცესის ეფექტურობასა და ობიექტურობას.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>მათემატიკა</p>	<p>წარმოდგენილი დოკუმენტების და მასწავლებლებთან ინტერვიუს თანახმად გამოიკვეთა , რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>სპორტი</p>	<p>სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია და განხორციელებულია სასკოლო კურიკულუმის მიხედვით, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. კურიკულუმში ასახულ თემებში შესაბამისადაა გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და საკითხები, რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი სასწავლო პროცესის რეალიზებას.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>ტექნოლოგიები</p>	<p>სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად - დოკუმენტაციისა და ინტერვიუს ანალიზი აჩვენებს, რომ მასწავლებელი სწავლების პროცესში ეყრდნობა კურიკულუმში ასახულ მიზნებს, სამიზნე ცნებებსა და საკითხებს. იგი იყენებს სამგანზომილებიან მიდგომას, ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს და იყენებს კომპლექსურ/შემოქმედებით დავალებებს, მრავალფეროვან ციფრულ რესურსებსა და სხვადასხვა სწავლების ფორმატს. დაგეგმვა ეფუძნება ინდიკატორებსა და შეფასების ინსტრუმენტებს, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმთან შესაბამისობას და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური</p>	<p>სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ძირითადად ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად (საჭიროების შემთხვევაში ხდება მოდიფიცირება). გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით, სავალდებულო თემების ფარგლებში, შუალედური მიზნების დახმარებით მუშავდება კურიკულუმში გაწერილი საკითხები.</p>



	<p>რჩევა: სასურველია, კურიკულუმში გაიწეროს იმდენი დავალება, რამდენსაც რეალურად განახორციელებენ.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
--	--

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; სკოლაში დანერგილია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების შეფასებისა და გეგმის ადაპტირებისთვის მექანიზმები. საჭიროების შემთხვევაში, საგაკვეთილო პროცესში ხდება პედაგოგების მიერ სწავლის მეთოდებისა და რესურსების მორგება. ასევე, მშობლებისა და მოსწავლეების უკუკავშირი იქმნება რეგულარულად, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მოქნილობას. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მოსწავლეების წინარე ცოდნას, რომელიც წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების საუკეთესო გზას. მოსწავლის წინარე ცოდნა განაპირობებს შინაგანა ძალების გააქტიურებას. კურიკულუმებში დავალებები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლეებმა შეძლონ წინარე ცოდნის გამოყენებით დაამუშაონ მოცემული დავალება. სკოლის პრიორიტეტს წარმოადგენს ახალი ცოდნის გადაცემა მოსწავლეებისთვის წინარე ცოდნაზე დაყრდნობით.

მოსწავლეთა და სასკოლო საზოგადოების მოთხოვნების გათვალისწინებით, ხდება გარემოს, კურიკულუმისა და რესურსების მოდიფიცირება, რათა ეფექტიანად მოხდეს გამოწვევებზე რეაგირება. სკოლა აქტიურად უწყობს ხელს მოსწავლეთა განვითარებას – კონკურსებსა და სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართვით. მნიშვნელოვანია ისიც, რომ პედაგოგიური გუნდი საჭიროების შემთხვევაში ცვლის მიდგომებს, ქმნის ახალ გამოცდილებებს და ამით ამარტივებს სასწავლო პროცესს, რაც ნათლად აჩვენებს სკოლის ძალისხმევას ინდივიდუალური და კოლექტიური საჭიროებების გათვალისწინებით უზრუნველყოს ხარისხიანი განათლება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია



3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

<p>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</p>	<p>სკოლის მიერ წარმოდგენილია სასწავლო პროცესის შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც იძლევა საფუძველს, შეფასების სისტემა ჩაითვალოს შეფასების პრინციპების გათვალისწინებით.</p> <p>რჩევა (დაწყებითი საფეხური):</p> <p>სასურველია გაასწოროთ ტექნიკური შეცდომა მეორე კლასის განმავითარებელი შეფასების სქემაში საგნის სახელწოდება - გარემოსმცოდნეობა. ასახეთ კრიტერიუმში მოცემული თემის/საკითხის სამიზნე ცნება და არა საგნობრივი ცნება, შეფასების ყველა შერჩეული კრიტერიუმი მიუსადაგეთ თემას/საკითხს კონკრეტულად. მაგ: შეფასების სქემაში თემაზე მორგებული მაგალითი (პუნქტი 3.) დეტალურად გაწერეთ კრიტერიუმების და მიღწევის დონეების მიხედვით.</p> <p>რჩევა (საშუალო საფეხური):</p> <p>სასურველია წარმოდგენილ ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმაში მე-10 კლასში ბიოლოგია/ფიზიკა თემა - წნევა (ფიზიკა) და ფესვის წნევა(ბიოლოგია), გააზრებულია წნევის გააზრება ბიოლოგიურ სისტემებში და ფიზიკური კანონების პრაქტიკულ გამოყენებაში, თუმცა, სასურველია, სავალდებულო სასწავლო თემები მეათე კლასში ამ საგნებში უკავშირდებოდეს წარმოდგენილ საკითხს. მაგ; ცნება წნევას ფიზიკაში მე-7 კლასიდან იცნობენ, მეათე კლასში კი სავალდებულო თემები ფიზიკაში ელექტროსტატიკა და დენის კანონებია, ასეთ შემთხვევაში სჯობს, მეტად დამუშავდეს საკითხის საგნობრივი ინტეგრირება. გეგმაში უნდა აისახოს საგნების გრძელვადიანი შედეგები, რაც შემდგომში შეფასების კრიტერიუმებსაც განსაზღვრავს. სასურველია, გაკვეთილის შემდგომ მასწავლებლების რეფლექსიაში გამოიკვეთოს ხედვა: რა მისცა მოსწავლეს ასეთმა გაკვეთილმა საგნობრივად, რათა მომავალში უკეთ გადაიგეგმოს და გასცეთ კონკრეტული განმავითარებელი შეფასებები. მოსწავლის რეფლექსიის შედეგები შეიძლება შეადაროთ მასწავლებლების რეფლექსიას. შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზის დროს (ფიზიკა, მე-10 კლასი) სასურველია, გამოიკვეთოს, რა სამუშაოები შესრულდა სრულყოფილად, რა იყო ტიპური შეცდომა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>საზოგადოებრივი მეცნიერებები</p>	<p>წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში გაწერილია, თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი, რაზე გაამახვილონ მოსწავლეებმა ყურადღება კომპლექსური ხასიათის დავალებაზე მუშაობისას. როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა მოსწავლეებმა წინასწარ იციან შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა. აღნიშნული მიდგომა</p>



	<p>მისასაღმებელია, რადგან იმისათვის, რომ შეფასების პროცესი იყოს მეტად გამჭვირვალე და ობიექტური, მნიშვნელოვანია მოსწავლეების ჩართულობაც შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისას.</p> <p>რჩევა: სასურველია, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასების რუბრიკები იყოს მეტად კონკრეტული და ეროვნულ-სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს მორგებული.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>უცხოური ენები</p>	<p>როგორც წარმოდგენილი მასალით ასევე ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ შეფასების რუბრიკები ერთობლივად შემუშავებულია კათედრებზე, კრიტერიუმები უკავშირდება სტანდარტით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს, რაც მათ ვალიდურობას უზრუნველყოფს.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</p>
<p>ესთეტიკური აღზრდა</p>	<p>სკოლის ესთეტიკური კათედრის მიერ წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი სახის. რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ყოველი მოსწავლის შეფასება თითოეული სასწავლო თემის ფარგლებში. სასწავლო პროცესში გამოყენებისას კი სკოლა ზრუნავს მის ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. შეფასება არის ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.</p> <p>რჩევა: სასურველია სკოლამ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ხელოვნებასა და მუსიკაში გაწეროს ესგ საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, სადაც მკაფიო იქნება თემებში ამა თუ იმ ცნების მნიშვნელობა</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>სახელმწიფო ენა</p>	<p>სკოლამ წარმოადგინა აღნიშნული ინდიკატორის დამამტკიცებელი დოკუმენტაცია (განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი). რუბრიკები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებლები იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს.</p>



	<p>წარმოდგენილია მოსწავლეთა წარმატების ამსახველი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები.</p> <p>რჩევა (დაწყებითი საფეხური): სასურველია, ყველა საგანში აწარმოონ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული რუბრიკები, და სადიაგნოსტიკო შეფასება, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.</p> <p>რჩევა (საბაზო/საშუალო საფეხური): სასურველია, შემუშავდეს ყველა შემოქმედებითი დავალების შესაფასებელი განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები და კრიტერიუმები, რომლებიც დაეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასება უნდა ეყრდნობოდეს სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევის ინდიკატორებს და მიემართებოდეს როგორც შუალედურ, ასევე გრძელვადიან მიზნებს. შეფასების სანდოობისთვის კარგი იქნება მეტად გამოიყენონ კონკრეტულ საკითხზე, შემაჯამებელ დავალებაზე თუ შემოქმედებით პროდუქტზე მორგებული შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებული იქნება შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტი.</p> <p><u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u></p>
მათემატიკა	<p>წარმოდგენილი კურიკულუმების, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების და სასწავლო პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი ფოტო მასალების, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის, საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.</p> <p><u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u></p>
სპორტი	<p>სკოლის მიერ მოწოდებული ფიზიკური აღზრდის და სპორტის შეფასების რუბრიკებში, გასაგებად არის გაწერილი, თუ როგორ და რის მიხედვით შეფასდებიან მოსწავლეები (გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებებზე, შედეგებზე, დაყრდნობით), მოსწავლეების შეფასება ხდება სასწავლო პროცესზე დაკვირვებით, სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა</p>



	<p>აქტივობების შეფასებით. მოსწავლეებს აცნობენ თუ რა კრიტერიუმებით შეფასდება ფესტივალებზე მათი შედეგები.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>ტექნოლოგიები</p>	<p>დოკუმენტაციისა და ინტერვიუს ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლაში არსებობს დეტალურად შემუშავებული შეფასების რუბრიკები, რომლებიც გამოიყენება კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს შეფასების კრიტერიუმებისა და მოლოდინების გასაზიარებლად. მასწავლებელს ესმის, რომ მოსწავლეებს წინასწარ უნდა გააცნოს შეფასების კრიტერიუმები, რაც ეხმარება მათ სწავლის სწორად დაგეგმვასა და თვითშეფასების განვითარებას. ასეთი მიდგომა ქმნის გამჭვირვალე და სამართლიან გარემოს, სადაც მოსწავლეები კარგად აცნობიერებენ, რაზე ეფუძნება მათი შეფასება. შეფასება ფოკუსირებულია როგორც შედეგზე, ასევე მოსწავლის განვითარების პროცესზე, რაც ზრდის სისტემის სანდოობასა და ობიექტურობას.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური</p>	<p>მასწავლებლები იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს. წარმოდგენილია მოსწავლეთა წარმატების ამსახველი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები.</p> <p>რჩევა: სასურველია, ყველა საგანში აწარმოონ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული რუბრიკები, და სადიაგნოსტიკო შეფასება, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი; სკოლაში დაწყებითი საფეხურის შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. ვერიფიკაცია გულისხმობს შეფასების ნიმუშების შერჩევასა და მონიტორინგს, რათა შეფასება იყოს ვალიდური, ზუსტი და თანმიმდევრული, რომლებიც განაპირობებს მასწავლებლის მხრიდან სწორი გადაწყვეტილებების მიღებას. შეფასების შედეგები მოწმდება სკოლის



ადმინისტრაციისა და დაწყებითი კლასის კათედრების მიერ. სკოლაში პერიოდულად წარმოებს საგაკვეთილო მონიტორინგი, დასწრებისა და შეფასების სისტემის სიზუსტის შემოწმება, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა სანდოობას და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

რჩევა: სასურველია სკოლამ ბრძანებით შექმნას ვერიფიკაციის განმახორციელებელი ჯგუფი, რომელიც საქმიანობას წარმართავს მექანიზმის შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლაში შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა მოწესრიგებულია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. დაწესებულება უზრუნველყოფს შესაბამისი მტკიცებულებების – შემაჯამებელი დავალებების, შემოქმედებითი ტიპის ნამუშევრებისა და სხვა მასალის – შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით არანაკლებ სამი წლის ვადით. პედაგოგების გამოცდილება და პრაქტიკა ამ პროცესში ადასტურებს, რომ სკოლა პასუხისმგებლობით ეკიდება შეფასების მონაცემების დაცვასა და სისტემურ აღრიცხვას. ელექტრონული სისტემის გამოყენება კი პროცესს კიდევ უფრო ამარტივებს და უზრუნველყოფს ინფორმაციის უსაფრთხო შენახვასა და ხელმისაწვდომობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

მტკიცებულება:

1. საგნობრივი კურიკულუმები
2. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
3. სასკოლო-სასწავლო გეგმა 2024-2025;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
5. შეფასების რუბრიკები;
6. განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა;
7. მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში

<p>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</p>	<p>კურიკულუმით განსაზღვრულია ძირითადი სახელმძღვანელოები, დამხმარე რესურსებად გამოიყენება ძირითადად ციფრული რესურსები.</p> <p>რჩევა: სასურველია, საბუნებისმეტყველო კათედრაზე შეიქმნას: ა) მატერიალური რესურსების ჩამონათვალი (სკოლის მდიდარი წიგნადი ფონდიდან), ასევე პოსტერების, მოდელების ჩამონათვალი, რაც გაადვილებს საგნის სწავლებას; ბ) ციფრული რესურსების ბანკი, რომელიც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, ძირითად რესურსებთან ერთად ან ნაცვლად, ალტერნატიული აქტივობები შეასრულონ.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>საზოგადოებრივი მეცნიერებები</p>	<p>მასწავლებლებთან გასაუბრებაზე გამოიკვეთა და საგნობრივ კურიკულუმებშიც თვალნათლივ ჩანს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ, როგორც ძირითად (სახელმძღვანელო), ასევე დამხმარე ონლაინ სასწავლო რესურსებს. აღნიშნული უზრუნველყოფს პროგრამასთან შესაბამისობას, ზრდის სწავლების ხარისხს, მოსწავლეებისათვის უფრო გასაგები და ხელმისაწვდომი ხდება სასწავლო მასალა, აძლიერებს მათ მოტივაციასა და ინტერესს.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>უცხოური ენები</p>	<p>სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული გრიფმინიჭებული ძირითადი სასკოლო სახელმძღვანელოები, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები დამატებითი საკითხავის და ციფრული რესურსების სახით. კურიკულუმით გათვალისწინებული ყველა რესურსი ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>ესთეტიკური აღზრდა</p>	<p>ესთეტიკური აღზრდის საგნების პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ წლის დასაწყისში ირჩევენ ძირითად რესურსებს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების სახით.</p>



	<p>ასევე კათედრა აქტიურად იყენებს სხვადასხვა მატერიალურ თუ ელექტრონულ რესურსებს ვიდეო თუ აუდიო სახით.</p> <p>რჩევა: სასურველია კურიკულუმებში მუსიკასა და ხელოვნებაში დაკონკრეტდეს რა დამატებით რესურსებს იყენებენ სასწავლო პროცესში.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>სახელმწიფო ენა</p>	<p>სახელმწიფო ენის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების სამინისტროსთან კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და რესურსების შერჩევას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით, სასწავლო პროცესში გამოიყენება ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელოები) და დამხმარე სასწავლო რესურსები (ონლაინ ვიდეო რესურსები, ძირითადად YouTube-ზე განთავსებული გაკვეთილების ანალიზები და ფილმები).</p> <p>რჩევა: მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული რესურსები კარგი დამხმარე საშუალებაა, სასურველია, დაემატოს სხვა ტიპის რესურსებიც, რათა დაკმაყოფილდეს მოსწავლეთა განსხვავებული სწავლის სტილები და ინტერესები. მაგალითად: ინტერაქტიული სავარჯიშოები: ენობრივი და ლიტერატურული მასალის გასამყარებლად. პოდკასტები/აუდიოწიგნები: განსაკუთრებით ლიტერატურული ნაწარმოებების ან მათი ანალიზებისთვის. ონლაინმუზეუმები და ვირტუალური ტურები: თუ შესაძლებელია ნაწარმოებებთან ან ავტორებთან დაკავშირებული ადგილების ვირტუალური მონახულება (მაგალითად, მწერლის სახლ-მუზეუმები). სამეცნიერო-პოპულარული სტატიები და ესეები: ლიტერატურულ კონტექსტზე და კონკრეტულ თემებზე ცოდნის გასაღრმავებლად.</p>



	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
მათემატიკა	წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სპორტი	სკოლაში არსებული, ისევე როგორც კურიკულუმში ასახულ თემებში გათვალისწინებულ სასწავლო რესურსები და სპორტულ ინვენტარი, შესაბამისად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც უზრუნველყოფს საგაკვეთილო პროცესის ეფექტიანობას და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ტექნოლოგიები	დოკუმენტაციისა და ინტერვიუების მიხედვით, სკოლაში სასწავლო რესურსების შერჩევა ეყრდნობა კურიკულუმის მოთხოვნებს. ძირითადი რესურსები მოიცავს სამინისტროს მიერ შეთავაზებულ ელ.რესურსს „school.emis.ge“. ასევე იყენებენ საერთაშორისო პლატფორმებს: scratch.mit.edu; code.org და ა.შ. აღნიშნული რესურსები ხელს უწყობს სასწავლო პროცესის დიფერენცირებასა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებას. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ და საჭიროებისამებრ ცვლიან რესურსებს, რაც ზრდის სწავლების ეფექტიანობას და კურიკულუმთან შესაბამისობას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში გამოიყენება გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამატებითი მატერიალური, აუდიო და ვიდეო რესურსები რჩევა: სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემების დამუშავების დროს მასწავლებლებმა გამოიყენონ მრავალფეროვანი, დამხმარე, მატერიალური და ელექტრონული რესურსები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია



2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმში ასახული რესურსები გრიფმინიჭებული და/ან აღიარებულია განათლების სამინისტროს მიერ. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ისინი ამოწმებენ იმ რესურსების ხარისხს და მიზნობრიობას რომლებიც სასწავლო პროცესში გამოიყენება. აკვირდებიან აუქციონებს თუ არა ისინი სწავლების ხარისხს, შეესაბამება თუ არა საგანმანათლებლო მიზნებს, წიგნების შემთხვევაში აქვს თუ არა მას გრიფი მინიჭებული, რამდენადაა ის სანდო და ასაკის შესაბამისი. ელექტრონული რესურსის შემთხვევაში კი უზრუნველყოფენ, რომ ისინი არ შეიცავდეს შეცდომებს, მიუღებელ კონტენტს ან არ იყოს დაბალი ხარისხის. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
უცხოური ენები	სასწავლო რესურსის ვალიდაციას უზრუნველყოფს საგნობრივი კათედრა კათედრის წევრებს ერთობლივი ჩართულობით. დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ესთეტიკური აღზრდა	დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება საგნობრივი კათედრების შეხვედრების ფარგლებში. სკოლას შემუშავებული აქვს ვალიდაციის წესი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სახელმწიფო ენა	როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე. გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება



	<p>ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. მტკიცებულებად წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის ოქმები და დამტკიცებული რესურსების ნუსხა. კურიკულუმის დოკუმენტებში არ არის მოცემული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ამ დამხმარე რესურსების შერჩევა, შეფასება ან დამტკიცება. არ არის მითითებული კრიტერიუმები, ვის მიერ ხდება ვალიდაცია, ან რა პერიოდულობით ხდება მათი გადამოწმება, თუმცა ინტერვიუებისას მასწავლებლებმა აღწერეს დეტალურად თანამშრომლობის პროცესები, რომ თავად ირჩევენ რესურსებს საკუთარი გამოცდილებისა და შეფასების საფუძველზე და ერთმანეთს უზიარებენ.</p> <p>რჩევა: სასურველია, კათედრამ დანერგოს პრაქტიკა, რომლითაც მასწავლებლებს და საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებსაც შეეძლება უკუკავშირის მიცემა გამოყენებული რესურსების შესახებ, რათა მათი ეფექტურობა მუდმივად გაუმჯობესდეს. ამგვარი პრაქტიკის დანერგვა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დამხმარე რესურსების ხარისხს და უზრუნველყოფს, რომ ისინი მართლაც ეფექტურად ემსახურონ სასწავლო მიზნებს.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
მათემატიკა	<p>მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას ახორციელებს მათემატიკის კათედრა</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
სპორტი	<p>სკოლაში არსებული და გამოყენებული დამხმარე რესურსები სპორტული ინვენტარის, ვალიდაცია ხდება კათედრასთან თანამშრომლობით.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
ტექნოლოგიები	<p>დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე ჩანს, რომ სკოლაში მოქმედებს პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ დამხმარე სასწავლო რესურსების ხარისხის შეფასებას და შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან. მასწავლებლები აქტიურად აწარმოებენ რესურსების გამოკვლევას და ირჩევენ მხოლოდ ეფექტურ და მიზნობრივ მასალებს.</p>



	<p>ვალიდაციის პროცესში გათვალისწინებულია რესურსების შესაბამისობა კურიკულუმთან, მოსწავლეთა საჭიროებებთან და სასწავლო მიზნებთან. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ რესურსები რეალურად ეხმარებიან სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა წარმატებას.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	<p>დამხმარე სასწავლო რესურსები შეირჩევა შეთანხმებულად, დაწყებითი კლასების კათედრაზე, მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	<p>სკოლას გააჩნია შესაბამისი ფართი და სასკოლო ინვენტარი სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად, თუმცა საბუნებისმეტყველო დისციპლინების სასწავლო შედეგების მისაღწევად საბაზო და საშუალო საფეხურზე აუცილებელია, ჰქონდეს შესაბამისად აღჭურვილი ლაბორატორია.</p> <p>ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს სასკოლო საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და შესაბამისი მატერიალური რესურსი - აღჭურვილობა, რეაქტივები, ქიმიური ჭურჭელი, ფიზიკის ხელსაწყოები, ბიოლოგიაში მიკროსკოპები და მოდელები. როგორც ადგილზე ვიზიტისას გაირკვა, სკოლაში არსებობს სივრცე (ცალკე ოთახი), რომელშიც სამომავლოდ უნდა მოეწყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სადაც მოსწავლეები დაგეგმავენ და ჩაატარებენ შესაბამისი თემების მიხედვით ცდებს, ექნებათ შესაძლებლობა, ფიზიკა/ ბიოლოგიის ხელსაწყოებისა და მოდელების გამოყენებით საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით აღმოაჩინონ და უკეთ გაიაზრონ სამყაროს კანონზომიერებები.</p> <p>ლაბორატორიის სრულყოფილად მოწყობისთვის საჭიროა:</p>
--------------------------------	---



	<ul style="list-style-type: none"> ✚ არსებობდეს სველი წერტილი კერამიკის ნიჟარით, ქიმიური ჭურჭლის საშრობით; ✚ გამწოვი კარადით აღჭურვა, სადემონსტრაციო მაგიდის დასაფარად შესაძლოა ფოლგის, მინის ან კერამიკული ფილის გამოყენება. ✚ ლაბორატორიაში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მიზნით სჯობს, განთავსდეს (ქვიშის ყუთი/ცეცხლგამძლე ნაჭერი/ცეცხლმაქრი - ასეთის არსებობის შემთხვევაში). ✚ სსსმ მოსწავლის ლაბორატორიასთან თავისუფალი წვდომა უნდა იყოს უზრუნველყოფილი, მიუხედავად იმისა, თუ ამ ეტაპზე არ ირიცხება ასეთი მოსწავლე; ✚ დაორგანიზდეს ლაბორატორიული ეკიპირება - ხალათები ან წინსაფრები, სათვალე, ხელთათმანები, სააფთიაქო ყუთი პირველადი დახმარების მასალით; ✚ რეაგენტები ეტიკეტით ინახებოდეს განსაზღვრული წესით, აგრესიული მჟავები/ტუტეები ცალკე უნდა იყოს გამოყოფილი და შენახული დაცულ ადგილას; ✚ ინვენტარიზაცია უნდა ჩატარდეს ყოველწლიურად; ✚ შეიქმნას და გაიკრას ლაბორატორიის დატვირთვის განრიგი თვალსაჩინო ადგილას მათ შორის კაბინეტის შესასვლელის წინ. <p>შესაბამისობის გეგმის მიხედვით სკოლა იღებს ვალდებულებას აღნიშნულ ვადებში (19.03.2026-31.12.2027) უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა კვლევითი და პრაქტიკული სამუშაოებისათვის სწავლების საბაზო და საშუალო საფეხურზე, რისთვისაც გაგზავნილია მოთხოვნა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის საგანმანათლებლო ინოვაციების სამმართველოში</p> <p>ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია</p>
<p>საზოგადოებრივი მეცნიერებები</p>	<p>როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ, იმის გამო რომ სკოლაში კლასები არ არის მრავალრიცხოვანი კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>უცხოური ენები</p>	<p>სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს მათთვის საჭირო სასწავლო მასალებითა და ტექნოლოგიებით.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>



<p>ესთეტიკური აღზრდა</p>	<p>სკოლის მიერ მოწოდებული მასალით ასევე მასწავლებელთა ინტერვიუდანაც დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შესაბამის გარემოში, სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>სახელმწიფო ენა</p>	<p>სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს სასწავლო მასალებითა და ტექნოლოგიებით: ძირითადი სასწავლო რესურსით - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, გრაფიკული ორგანიზატორებით, ციფრული რესურსებით, კომპიუტერით, პროექტორით, ინტერნეტთან წვდომითა და ინკლუზიური მასალებით. მასწავლებლები რესურსებს არჩევენ აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად, ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. პედაგოგებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. კლასებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს ძირითადი და დამხმარე სასწავლო მატერიალური და ციფრული რესურსებით.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
<p>მათემატიკა</p>	<p>სკოლის მიერ მოწოდებული მასალით ასევე მასწავლებელთა ინტერვიუდანაც დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შესაბამის გარემოში, სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>



სპორტი	<p>სკოლაში არსებული ფიზიკური აღზრდის და სპორტის გაკვეთილისთვის გამოყოფილი შიდა სივრცე, გარე სპორტული მოედანი, სპორტული ინვენტარი, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით საშუალებას იძლევა მიაღწიონ სწავლის შედეგებს.</p> <p>რჩევა: სასურველია სკოლამ მოკლევადიან პერიოდში იზრუნოს როგორც დამატებითი სპორტული ინვენტარის შეძენის, ასევე სპორტული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების გაუმჯობესებაზე.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
ტექნოლოგიები	<p>უზრუნველყოფილი კომპიუტერული ტექნოლოგიებით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლების სხვადასხვა ფორმებში.</p> <p>მათთვის გათვალისწინებულია კომპიუტერების საკმარისი რაოდენობა, რათა ჯგუფში თითოეულმა მოსწავლემ მიიღოს ინდივიდუალური და ხარისხიანი სწავლების შესაძლებლობა. ეს უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და პრაქტიკული უნარების განვითარებას.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	<p>პედაგოგებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. კლასებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს ძირითადი და დამხმარე სასწავლო მატერიალური და ციფრული რესურსებით.</p> <p>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</p>

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი



სკოლას გააჩნია კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი კვალიფიციური ადამიანური რესურსი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობას. პედაგოგების კვალიფიკაცია და გამოცდილება შესაბამისობაშია დაკავებულ პოზიციებთან, რაც დადასტურებულია როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ისე საინფორმაციო სისტემიდან მიღებული მონაცემებით. აღსანიშნავია, რომ მუსიკის, გეოგრაფიის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლებს არ აქვთ დადასტურებული კომპეტენცია, რომლებიც მოწვეული მასწავლებლის სტატუსით არიან დასაქმებული. თუმცა მთლიანობაში სკოლა უზრუნველყოფს პროფესიონალი პედაგოგებით და სხვა საჭირო კადრებით დაკომპლექტებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით ჩანს, რომ აღნიშნულ ვადებში (19.03.2026-31.08.2026) სკოლა გეგმავს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსის მობილიზებას;

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

მტკიცებულება:

1. მასწავლებლის პირადი საქმე;
2. სასკოლო სასწავლო გეგამა;
3. საგნობრივი კურიკულუმები;
4. შეფასების რუბრიკები;
5. განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა;
6. მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები.

შეფასება:

- o ვთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- o ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
---	--	---



<input type="checkbox"/> შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება
<input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება
<input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება	<input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება	<input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება
<input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

მონიტორინგი ხორციელდება როგორც გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებით, ასევე მოსწავლეთა შედეგების გაზომვით. საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებასა და დანერგვაში აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა საფეხურის კათედრების მასწავლებლები, ხოლო პროცესს ზედამხედველობენ კათედრის წევრები და დირექცია. სკოლაში პედაგოგები აქტიურად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას კათედრებზე, წარადგენენ ანგარიშებს და ითვალისწინებენ კოლეგების აზრს. სასწავლო წლის ბოლოს ისინი პედაგოგიური საბჭოს წინაშე წარმოადგენენ მთელი წლის მუშაობის შედეგებს უკუკავშირის მიღების მიზნით. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

პედაგოგებთან საუბრის შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესისა და შედეგების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს ერთ-ერთ მექანიზმს გამოწვევებთან გამკლავებისა და პრობლემების გადაჭრისთვის. სკოლაში ნაწილობრივ ტარდება დიაგნოსტიკური წერები, რის საფუძველზეც მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფი ახდენს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას. საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი პროექტების შეფასება ხდება



შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს პროცესის სიზუსტესა და გამჭვირვალობას. მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან, რათა გამოიკვეთოს მოსწავლეების ინტერესები, ძლიერი და სუსტი მხარეები. მონაცემების შეგროვება და ანალიზი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით საშუალებას აძლევს სკოლას შექმნას სრულყოფილი წარმოდგენა თითოეული მოსწავლის შესახებ და მორგებული გადაწყვეტილებები მიიღოს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლაში მიღებული უკუკავშირი აქტიურად გამოიყენება სწავლების ხარისხის ასამაღლებლად და პედაგოგებს შორის თანამშრომლობის გასამყარებლად. კათედრის წევრები ურთიერთდასწრებისას გასცემენ რეკომენდაციებს, უზიარებენ გამოცდილებას, რაც ხელს უწყობს მათ კარიერულ ზრდასა და პროფესიულ განვითარებას. სკოლაში მონიტორინგისა და შეფასებისთვის განკუთვნილი აქტივობები, როგორცაა გაკვეთილზე დასწრება და შედეგების ანალიზი, ატარებს თანამშრომლობით ხასიათს და მიზნად ისახავს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. გარდა ამისა, მონიტორინგისა და შეფასების სისტემა საშუალებას აძლევს პედაგოგებს გაარკვიონ, რამდენად ეფექტურია დაგეგმილი აქტივობები სასურველი შედეგების მიღწევის მხრივ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

მპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის მეთოდოლოგია;
2. სასკოლო სასწავლო გეგმა;
3. შინაგანაწესი;
4. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასება ხდება სხვადასხვა ხერხით: მოსწავლეთა ნაშრომები, შემაჯამებლები, ტესტები, პროექტები, ინდივიდუალური და ჯგუფური დავალება. ეს აქტივობები უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის ობიექტურ და სრულყოფილ შეფასებას. შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ფოკუსირებულია მოსწავლეთა მუდმივ განვითარებაზე. შეფასებისას სკოლა ეყრდნობა ისეთ წყაროებს, როგორებიცაა: მოსწავლეთა მიღწევები, დაკვირვება სასწავლო პროცესზე, რაც განიხილება კათედრებზე და არსებული მონაცემების მიხედვით კეთდება ანალიზი და შეფასება. პედაგოგები ავითარებენ სხვადასხვა შეფასების ფორმებს – განმავითარებელ, თვითშეფასების რუბრიკებს. ამ მეთოდოლოგიის საშუალებით განსაზღვრავენ მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეებს, პროგრესს და მის მიმართ შემდგომ ნაბიჯებს. სასწავლო პროცესის მთავარი შემფასებლები არიან მოსწავლეები და მშობლები. მასწავლებელთა შეხვედრებზე რეგულარულად განიხილება მიღწეული შედეგები, პრობლემები და სამომავლო გეგმები, რაც აძლიერებს პროცესის გამჭვირვალობას და ეფექტურობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

მოსწავლეთა შეფასების დროს სკოლა ყურადღებას ამახვილებს სხვადასხვა კონტექსტებზე. შეფასების დროს პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეთა სხვადასხვა უნარებსა და შესაძლებლობებს. სკოლა მომავალში გეგმავს რემედიაციული პროგრამის გამოყენებას, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა სრულ ჩართულობასა და მისაღწევი შედეგების დაძლევას. მოსწავლეების შეფასება ხორციელდება მასწავლებელთა უკაკავშირების გათვალისწინებით. სკოლა შეფასებისას ითვალისწინებს მოსწავლის სოციალურ და ფსიქოემოციურ მდგომარეობას, ამის შესახება მუდმივად იღებს ინფორმაციას კლასის ხელმძღვანელებისა და საგნის მასწავლებლებისგან. სკოლა აქტიურად იყენებს თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ინსტრუმენტებს, უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას შეფასების კრიტერიუმების შემუშავებაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები



სკოლა სასწავლო პროცესის შეფასების დროს იყენებს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, რომლის საშუალებითაც ვიგებთ ინფორმაციას მოსწავლის, მშობლის და მასწავლებელთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. ამისათვის სკოლა იყენებს ინტერვიუს, დაკვირვების მეთოდს, ფოკუს ჯგუფს, მოსწავლეთა კითხვარს და სხვას. მონაცემთა შეგროვება იძლევა საშუალებას შევაფასოთ სასწავლო პროცესი ობიექტურად ისე, რომ მოსწავლეებისთვის სასწავლო პროცესი საინტერესო და სახალისო გავხადოთ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

შეფასებისას გათვალისწინებულია ყველა ის გარემოება თუ ფაქტორი, რომელიც იყო ხელისშემშლელი ან პირიქით, ხელისშემწყობია სწავლა-სწავლების პროცესში. როგორცაა მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი, რასაც ხელს უწყობს კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ გეგმავენ შეფასების ისეთი სისტემის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს მრავალმხრივი კონტექსტიდან მოსწავლის შედეგის შეფასებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

მტკიცებულება:

1. საგნობრივი კურიკულუმები;
2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ;
3. სასკოლო სასწავლო გეგმა;
4. შეფასების რუბრიკები;
5. მოსწავლეთა შეფასების ნიმუშები;
6. პედაგოგებთან ინტერვიუ;
7. გაკვეთილზე დასწრების ოქმები;
8. შემაჯამებელი წერის ნიმუშები-განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკით.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

სკოლაში კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესი დინამიურია და ემყარება სემესტრისა და სასწავლო წლის განმავლობაში დაგროვილ გამოცდილებას. მონიტორინგის მექანიზმები და შემაჯამებელი ანალიტიკური ინსტრუმენტები (სადიაგნოსტიკო წერილები, შემოქმედებითი დავალებები და სხვა) უზრუნველყოფს კურიკულუმის სისტემურ გადახედვასა და გაუმჯობესებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

სკოლაში კურიკულუმის გადამუშავების პროცესი სისტემურია და ემყარება დაგროვილ გამოცდილებას, მონიტორინგის შედეგებსა და მოსწავლეთა უკუკავშირს. საგნობრივ კათედრებში თანამშრომლური განხილვები, გამოცდილების გაზიარება და რეკომენდაციების ფორმულირება ქმნის მყარ საფუძველს კურიკულუმის რევიზიისთვის. კურიკულუმის ახალი ვერსია, დაეფუძნება წინარე გამოცდილებას. ახალ რევიზირებულ დოკუმენტში აისახება ანალიზის საფუძველზე დადგენილი მიგნებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დადასტურება:

1. სასკოლო სასწავლო გეგმა დანართი
2. საგნობრივი კურიკულუმები;
3. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება



ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი : 02.04.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თალიკო ჯაყელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


ტარიელ კალანდაძე-(ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

ირმა ავალიანი- (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)




მ. გაგნიძე

შორენა გაგნიძე-(საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)




გვანცა მოლაშვილი-(უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);



ლეილა ხელისუფალი -(ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);

მ. ვილო

ოლიკო კილაძე -(ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)



სოფიო ხვადაგიანი - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)

ნ. ხორ

ნანი სალია -(მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი)

მ. გაგნიძე

მიხეილ გაფრინდაშვილი -(სპორტის საგნობრივი ექსპერტი)

ლელა მანგოშვილი -(ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

